# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან

www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

ფასი 1 ლარი

№116 (9796) 2024 წლის 10 ოქტომბერი. ხუთშაბათი


## ახალი ცარიელი ლაყაფი ევროპარლამენტიდან!

ეს რეზოლუცია ქართველი ხალხის დაშინების, აბუჩად აგდების, აშკარა ზეწოლის მცდელობაა!!! ევროპარლამენტის ბევრი მოლაყბე იმასაც ვერ ხვდება, რომ დღეს საქართველოში ყველაფერი ხალხის მიერ არჩეული (დიდი უმრავლესობით არჩეული!) „ქართული ოცნებით“ იწყება! ასე იქნება 26 ოქტომბრის შემდეგაც, რადგან ევროპის დომინიონი, ევროპის ხელქვეითი, ევროპის კოლონია, საქართველო არასოდეს გახდება! ევროპის „სახალხო პარტიას“ ეს სურს მხოლოდ!

თუ გინდათ, რომ ქართველმა ხალხმა ევროპისკენ მოიხედოს, მხარი დაუჭირეთ „ქართულ ოცნებას“ და არა ნაცისტურ რეჟიმს! გიმეორებთ, „ოცნებას“ დღესაც ჩვენი მოსახლეობის დიდი უმრავლესობა უჭერს მხარს! ამიტომაც თვალებში ნაცარს ნუ გვაყრით! თვალი გაუსწორეთ სიმართლეს!

**„საქართველოს რესპუბლიკა“**




**სამიათასწლოვანი ისტორიის მქონე საქართველო არასოდეს გახდება ევროპის კოლონია!**

**ევროპარლამენტმა საქართველოს შესახებ ასეთი რეზოლუცია მიიღო**

**რეზოლუციას მხარი დაუჭირა 495-მა ევროდეპუტატმა, 73 წინააღმდეგი იყო, 86-მა კი თავი შეიკავა.**

✦ ✦ ✦

ევროდეპუტატებმა საქართველოს შესახებ მომზადებული რეზოლუციის პროექტი შესწორებებით დაამტკიცეს, კერძოდ, რეზოლუციის პროექტის მეექვსე პარაგრაფს, სადაც ეწერა: „კიდევ ერთხელ ადასტურებს თავის მტკიცე მხარდაჭერას ქართველი ხალხის ლეგიტიმური ევროპული მისწრაფებებისა და მათი სურვილისადმი, იცხოვრონ აყვავებულ ქვეყანაში, თავისუფალი კორუფციისგან, რომელიც სრულად პატივს სცემს ფუნდამენტურ თავისუფლებებს, იცავს ადამიანის უფლებებს და უზრუნველყოფს ღია საზოგადოებასა და დამოუკიდებელ მედიას; ხაზს უსვამს, რომ საქართველოსთვის ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მინიჭების გადაწყვეტილება მოტივირებული იყო სურვილით, აღიარებულიყო საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების მიღწევები და დემოკრატიული ძალისხმევა, ასევე მოქალაქეთა შორის ევროკავშირში გაწევრების მიმართ არსებული მოთხოვნა, რომელსაც მხარს უჭერს ქართველი ხალხის 80%-ზე მეტი; აფასებს საქართველოს პრეზიდენტის სალომე ზურაბიშვილის ძალისხმევას, დააბრუნოს საქართველო დემოკრატიული და პროევროპული განვითარების გზაზე“, – დაემატა შემდეგი წინადადება: **„მკაცრად გმობს „ქართული ოცნების“ პარტიის ძალისხმევას, დაადუმოს საქართველოს პრეზიდენტი იმპიჩმენტის პროცედურის საშუალებით დაუსაბუთებელი საფუძვლით“.**

ასევე, რეზოლუციის პროექტის მეშვიდე პარაგრაფს, სადაც ეწერა: „გმობს ოლიგარქ ბიძინა ივანიშვილის პირად როლს, რომელიც აქტიურ პოლიტიკაში 2023 წლის 30 დეკემბერს დაბრუნდა, როდესაც „ქართული ოცნების“ პარტიის „საპატიო თავმჯდომარე“ გახდა, მიმდინარე პოლიტიკურ კრიზისსა და ქვეყნის ევროატლანტიკური ორიენტაციის კიდევ ერთხელ ხელყოფის მცდელობაში რუსეთისკენ შებრუნების სასარგებლოდ; კიდევ ერთხელ მოუწოდებს საბჭოსა და ევროკავშირის დემოკრატიულ პარტნიორებს, დააწესონ დაუყოვნებლივი და მიზნობრივი პირადი სანქციები ივანიშვილის წინააღმდეგ საქართველოში პოლიტიკური პროცესის გაუარესებაში მისი როლის გამო“, – დაემატა შემდეგი წინადადება: **„ისევე როგორც სხვა ქმედებებს, რომელსაც სარგებელი მოაქვს რუსეთისთვის“.**

ევროპარლამენტარებმა საქართველოს შესახებ რეზოლუციის პროექტი 8 ოქტომბერს წარადგინეს. მოგვიანებით ევროპარლამენტში გაიმართა დებატები, 9 ოქტომბერს კი რეზოლუციის პროექტის განახლებული ვერსია გამოქვეყნდა.

✦ ✦ ✦



ირაკლი ღარიბაშვილი

### აშკარად თავხედური ჩარევა!!!

**„სამწუხაროდ** თუ საბედნიეროდ, ეს არ არის პირველი რეზოლუცია და ალბათ არ იქნება ბოლო, ჩვენ ბევრი ასეთი უსამართლო რეზოლუციის პროექტი თუ თავად რეზოლუცია გვინახავს. ვხედავთ, რომ ჩვენი რადიკალური, გაკოტრებული ოპოზიციის მფარველი ლობისტები, მათი დახმარებით ამზადებენ ანალოგიური შინაარსის, ანტიქართულ, ანტისახელმწიფოებრივ რეზოლუციას, რომელიც, რა თქმა უნდა, არის მორიგი დემონსტრირება ჩვენი ქვეყნის შიდა საქმეებში თავხედური ჩარევისა. ამას დავარქმევდი თავხედურ ჩარევას ჩვენი ქვეყნის შიდა საქმეებში“...

## ერის საგანძური

### იოანე ზოსიმეს უნიკალური ხელნაწერი საქართველოშია

**საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი იოსებ ბაღათურია აცხადებს, რომ იოანე ზოსიმეს ხელნაწერი, რომელიც ბიძინა ივანიშვილის ინიციატივით არის შეძენილი, ღირსეულ ადგილს დაიკავებს ოქროს ფონდში**





„დღეს დაბრუნდა იოანე ზოსიმეს უნიკალური ხელნაწერი წიგნი საქართველოში, რომელიც შეძენილია ბატონი ბიძინა ივანიშვილის ინიციატივით, ძალისხმევით და მისივე სურვილით.

უნიკალური ხელნაწერი გადაეცემა ეროვნულ მუზეუმს და ღირსეულ ადგილს დაიკავებს ოქროს ფონდში, ღია გამოფენაზე და იგი განთავსდება ბედიის ბარძიმის გვერდით, ისეთი სიწმინდეების გვერდით, როგორიც არის ანჩისხატი, წილკანის ხატი და სხვა... ამიერიდან დაინტერესებულ პირებს ექნებათ შესაძლებლობა, ეს უნიკალური ხელნაწერი ეროვნულ მუზეუმში მოინახულონ,“ – აცხადებს იოსებ ბაღათურია.

## ავთანდილ არაბული

### ვალპურგის ღამის (მო)ჩვენებანი

**ისტორიამ მწარედ იცის კუდის მოქნევა!**




3-5



## ჭეშმარიტი მეცნიერი

7

თამაზ ბაციკაძე — 80

## ჩვენი ოჯახის უროლოგი

### როცა მამაკაცის ორგანიზმის „დამცველ კარს“ პრობლემები აქვს...



ალექსანდრე ხელაია



# „ქართული ოცნების“ საარჩევნო პროგრამა

rogorc viciT, mmarTvelma partiam `qarTulma ocnebam~ 7 oqtombers winasaarCevno programa waradgina.

programis prezentacia gamarTa premier-ministrma, `qarTuli ocnebis~ saarCevno Stabis xelmZRvanelma irakli kobaxiZem. TiToeuli dargis ganxilvis dros, man 2024 wels arsebuli mdgomareoba 2012 wlisas Seadara da 2028 wlisTvis realuri dapirebebi gasca.

premierma programis prezentacia daiwyo ekonomikis sferos ganxilviT. man isev isaubra ekonomikis zrdaze da Tqva, rom minimum 130 miliard laramde gaizrdeba ekonomika 2028 wlisTvis, amas ki mohyveba qveynis biujetis pirdapirproporciuli zrda. 2028 wlisTvis `qarTul ocnebas~ aqvs `ambiciuri amocana~ da qveynis biujeti 50 miliard lars gadaaWarbebs.

dRevandeli mdgomareobiT, gavanaxevreT umuSevroba 2012 wlis Semdeg, _ Tqva kobaxiZem da daamata, rom aqvT `ambiciuri da absoluturad realisturi amocana~, 4%-mde Seamciron misi maCvenebeli. `es aris saSualo evropul maCvenebelze dabali~, _ dasZina man.

**ამ პროგრამის შესრულებას უზრუნველყოფს ბიძინა ივანიშვილის ოლიმპიური სიმშვიდე და საქვეყნო საქმეებისთვის გაღებული უშურველი მილიონები, ირაკლი კობახიძის ძალისხმევით შექმნილი ევროპული კონსტიტუცია, ირაკლი ღარიბაშვილის პირდაპირობა და უშიშროება, შალვა პაპუაშვილის საშინაო და საგარეო მტრებთან პოლემიკის უბადლო დიპლომატიური ნიჭი, კახი კალაძის აღმშენებლობის ჟინი, ქართულ-იტალიური სითამამე და პატრიოტიზმი, მამუკა მდინარაძის ნანინანატრი ადვოკატობა, „ოცნების“ გაკეთებული საქმეების წარმოჩენის უნარი და ავადმყოფი ოპოზიციის დამაჯერებელი კრიტიკა...**

**ასეთ ხელისუფლებას 26 ოქტომბერს მართლაც „ქუდზე კაცი“ აირჩევს!**

## ინფრასტრუქტურა

ირაკლი კობახიძემ ასევე ისაუბრა დაგეგმილ საგზაო-ინფრასტრუქტურულ პროექტებზე:

„მომავალ წელს თბილისიდან ბათუმამდე გაიხსნება 4-ზოლიანი ავტომაგისტრალი. დაგვრჩება ერთი მცირე მონაკვეთი, ქობულეთის შემოვლითი გზა, დაემატება 2-ზოლიანი გზა და საბოლოო ჯამში, მაგისტრალი გახდება 4-ზოლიანი. დაიწყება ბათუმი-სარფის მონაკვეთის მშენებლობა, ასევე გამომდინარე იქიდან, რომ ვმუშაობთ ანაკლიის პორტის განვითარებაზე, დაგვჭირდება საგანგებო გზის გაჭრა ანაკლიამდე.

რაც შეეხება აღმოსავლეთ საქართველოს, აქ დაგეგმილია აზერბაიჯანისა და სომხეთის საზღვრებთან დამაკავშირებელი მაგისტრალების დასრულება; კახეთის მონაკვეთზე უკვე დასრულებულია თბილისი-საგარეჯოს 4-ზოლიანი ავტომაგისტრალის მშენებლობა; დაიწყება ლაგოდეხის შემოვლითი გზის მშენებლობა; ასევე დაიწყება და დასრულდება თბილისი-რუსთავის 4-ზოლიანი მაგისტრალი“.

## ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტი პირველ გემებს 2029 წელს მიიღებს

„იწყება ანაკლიის პორტის მშენებლობის სამუშაოები, გაფორმდა ხელშეკრულება ჩინურ-სინგაპურულ კონსორციუმთან, ასევე ბელგიური კომპანია დაიწყებს უშუალოდ პორტის გაღრმავებაზე მუშაობას. ამ პროექტის პირველი ფაზა 2029 წელს დასრულდება, პირველ გემებს ანაკლიის პორტი სწორედ 2029 წლისთვის მიიღებს. წელიწადში 600 000 კონტეინერი იქნება გამტარობა, 600 მილიონი დოლარის ინვესტიცია ჩაიდება მხოლოდ პირველ ფაზაში“.

**აშენდება ახალი აეროდრომი ვაზიანში, რომელიც წელიწადში 18 მილიონ მგზავრს მიიღებს.**

## სოფლის მეურნეობა

შემდეგი ოთხი წლის განმავლობაში მთლიანობაში 3 მილიარდი ლარი გამოიყოფა სოფლის მეურნეობისთვის.

„ყბადაღებული თემა იყო ბატონი ბიძინა ივანიშვილის დაპირება, რომ მილიარდი მოხმარებოდა სოფლის აღორძინებას. არათუ მილიარდზეა საუბარი, წლების განმავლობაში მრავალი მილიარდი მოხმარდა სოფლის აღორძინებას და მარტო შემდეგი ოთხი წლის განმავლობაში დამატებით 3 მილიარდი მოხმარდება, ანუ ძალიან დიდი გადაჭარბებით შესრულდა ეს დაპირება“.

## ენერგეტიკა

„გვაქვს ძალიან ამბიციური მიზანი, რომ 2030 წლისთვის საქართველო გახდეს სრულად თვითკმარი და დამოუკიდებელი ქვეყანა“. ბოლო 12 წლის განმავლობაში აშენდა 63 ჰესი, 2 თბოელექტროსადგური და 1 ქარის ელექტროსადგური.

2012 წლისთვის 3359 მეგავატს შეადგენდა გენერაცია ქვეყანაში, 2024 წლისთვის 4600 მეგავატამდე იზრდება. 2028 წლისთვის გამომუშავება გადააჭარბებს 8000 მგვტ-ს. 2030 წლისთვის 10 000 მეგავატს გადასცდება გამომუშავება.

## ხელფასების ზრდა საჯარო მოხელეებისთვის

„ქართული ოცნება“ არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში ხელფასის ზრდას ჰპირდება საბავშვო ბაღებისა და ასევე სახელოვნებო და სპორტული სკოლების პერსონალს.

ბოლო წლებში უზრუნველყოფილი იყო ხელფასების 10%-იანი ზრდა და მომავალ წელსაც გაგრძელდება ხელფასების ზრდა. სტანდარტული ზრდის გარდა, პირველი იანვრიდან დაგეგმილია საბავშვო ბაღების პერსონალისთვის 100 ლარით ხელფასების ზრდა, იგივე ეხება სახელოვნებო და სპორტული სკოლების პერსონალს.

## განათლება

განათლების სფეროზე საუბრისას ირაკლი კობახიძემ თქვა, რომ დაგეგმილია, მნიშვნელოვნად გაფართოვდეს ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა.

ჩვენი ამოცანაა, 20 000-ს გადასცდეს სტუდენტების რაოდენობა. ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი უნდა გახდეს თანაბარი მნიშვნელობის კერა საუნივერსიტეტო განათლების მისაღებად ჩვენს ქვეყანაში. გვაქვს დაპირება ბატონი ბიძინა ივანიშვილისგან, რომ მისი მხრიდან სერიოზული ინვესტიცია ჩაიდება ამ პროექტის განსახორციელებლად. ამის პარალელურად, ამომრჩეველს თბილისსა და რუსთავს შორის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი კამპუსის აშენებას ვპირდებით.

## კულტურა და სპორტი

„ქართული ოცნება“ არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში სახელმწიფო ბიუჯეტში გამოყოფს 30 მილიონს, რომელიც ხელოვანთა და ხელოვნების მხარდაჭერას მოხმარდება.

გაიზრდება სპორტის დაფინანსება და 2 მილიარდი გამოიყოფა ინფრასტრუქტურისთვის.

ახალი, 70 000 მაყურებელზე გათვლილი სტადიონი აშენდება თბილისისთვის, რათა 2028 წლისთვის ვუმასპინძლოთ ჩემპიონთა ლიგას. ახალი სტადიონი იქნება სრულად ადაპტირებული როგორც ფეხბურთის, ასევე რაგბისთვის და იქნება საკონცერტო ინფრასტრუქტურასაც!

## ჯანდაცვა და სოციალური დაცვა

პრემიერ-მინისტრის დაპირებით, „აუცილებლად აშენდება“ ახალი რესპუბლიკური საავადმყოფო და უახლოეს მომავალში მისი კონცეფციის პრეზენტაციაც გაიმართება.

ეკონომიკური ზრდა გვაძლევს საშუალებას, რომ 350/450 ლარამდე გაიზარდოს პენსიები.

## თავდაცვა

„ქართული ოცნება“ არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში გეგმავს ეროვნული სამხედრო მრეწველობის განვითარებას, ასევე სამხედროებისა და პოლიციელების სოციალურ მხარდაჭერას.

ინვესტიციები ჩაიდება ეროვნულ სამხედრო მრეწველობაში;

სამხედროების სოციალური მხარდაჭერა - განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა „ჯარის ქალაქს“ – 1000-ზე მეტი სამხედრო დაკმაყოფილდება შემდეგ წლებში;

პოლიციელების სოციალური პირობების გაუმჯობესება - 1000-ზე მეტი პოლიციელი მიიღებს ბინებს ახალაშენებულ კორპუსებში.

## საგარეო პოლიტიკა

აშშ-სთან და ევროკავშირთან ურთიერთობების გადატვირთვა, ასევე რუსეთთან პრაგმატული პოლიტიკა და კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირება“, საგარეო პოლიტიკის მიმართულებით გადასადგმელი ძირითადი ნაბიჯებია.

„უმნიშვნელოვანესი ეროვნული ამოცანაა აშშ-სთან და ევროკავშირთან ურთიერთობების გადატვირთვა. ჩვენ, ბუნებრივია, არ მოგვწონს ურთიერთობების ის მდგომარეობა, რომელიც გვაქვს. დარწმუნებული ვართ, მომავალ წელს, მას შემდეგ, რაც დასრულდება ომი უკრაინაში, შემხვედრი ნაბიჯებიც იქნება გადადგმული, რაც უზრუნველყოფს ურთიერთობების გადატვირთვას.

ევროინტეგრაცია რჩება საგარეო პრიორიტეტად – 2030 წლისთვის საქართველო კანდიდატ ქვეყნებს შორის ყველაზე მეტად იქნება მზად გასაწევრიანებლად. 2028 წლისთვის გვაქვს გეგმა, რომ 90%-ს გადააჭარბოს ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებამ, ხოლო **DCFTA**-თ გათვალისწინებული ვალდებულებების 90% იქნება შესრულებული 2028 წლისთვის.

ნატოსთან თანამშრომლობის გაღრმავება უმთავრესი პრიორიტეტია, ჩინეთთან სტრატეგიული პარტნიორობის გაღრმავებასაც დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით.

პრაგმატული პოლიტიკა, რუსეთთან კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირება – ესეც ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია“...

**7.10.2024.**

**მხოლოდ მშვიდობით, ღირსებით, კეთილდღეობით, ევროპისკენ!**

# საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის განცხადება

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლისა და აკადემიის წესდების მე-10 თავის საფუძველზე, აცხადებს ვაკანსიებს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სტიპენდიატების ასარჩევად შემდეგ სპეციალობებში:**




- მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილება – 1 ვაკანსია (**სპეციალობა - მათემატიკა)**
- დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილება – 1 ვაკანსია **(სპეციალობა - გეოფიზიკა)**
- საინჟინრო მეცნიერებათა და ინფორმაციული ტექნოლოგიების განყოფილება – 1 ვაკანსია **(სპეციალობა – ინფორმაციული ტექნოლოგიები)**
- ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების განყოფილება – 1 ვაკანსია **(სპეციალობა – მაღალმოლეკულურ ნაერთთა ქიმია)**
- ბიოლოგიურ მეცნიერებათა განყოფილება – 1 ვაკანსია **(სპეციალობა - ბიოლოგია)**
- ფიზიოლოგიისა და მედიცინის განყოფილება – 2 ვაკანსია **სპეციალობა - მედიცინა)**
- სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილება – 1 ვაკანსია **(სპეციალობა – სურსათის უვნებლობა)**
- საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება – 1 ვაკანსია **(სპეციალობა - სამართალი)**
- ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება – 1 ვაკანსია **(სპეციალობა – ენათმეცნიერება)**

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სტიპენდიატად შეიძლება აირჩეს დოქტორის აკადემიური ხარისხის ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის მქონე პირი, რომელიც საერთაშორისო დონეზე აღიარებული სამეცნიერო ნაშრომების ავტორია.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სტიპენდიატად არ შეიძლება აირჩეს პირი, რომლის ასაკი 50 წელს აღემატება. იგი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე და მოღვაწეობდეს საქართველოში. პირი აკადემიის სტიპენდიატად აირჩევა 5 წლის ვადით. ერთი და იმავე პირის აკადემიის სტიპენდიატად არჩევა შეიძლება მხოლოდ ორჯერ.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სტიპენდიატობის კანდიდატთა მიერ წარმოდგენილ უნდა იყოს შემდეგი საბუთები (ორ ეგზემპლარად):

- საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრების წარდგინება (დედანი, დამოწმებული წარმდგენის ხელმოწერითა და სველი ბეჭდით) ან სამეცნიერო დაწესებულებების, სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლებისა და კერძო ავტორიზებული უმაღლესი სასწავლებლების დასაბუთებული წარდგინება (დედანი, დაბეჭდილი ტიტულოვან ბლანკზე);
- ფერადი ფოტო 4/6;
- უმაღლესი განათლების, დოქტორის აკადემიური ხარისხის ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის დამადასტურებელი საბუთების ასლები (დამოწმებული ნოტარიულად);
- მონაცემები შრომითი და სამეცნიერო საქმიანობის შესახებ (CV);
- ძირითადი სამეცნიერო შრომების ჩამონათვალი (საერთაშორისო/უცხოურ ჟურნალებში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები აღინიშნება ვარსკვლავით);
- დარგის სპეციალისტის მიერ კანდიდატის სამეცნიერო მოღვაწეობის შეფასება (დედანი);
- კანდიდატის პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი, ცნობა სამუშაო ადგილიდან მისი საქართველოში მოღვაწეობის შესახებ.

საბუთები წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე (საჭიროების შემთხვევაში ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი) პირადად აკადემიის სტიპენდიატობის კანდიდატის მიერ.

აღნიშნული განცხადება და კანდიდატის მონაცემები (CV) განთავსებულ იქნება საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვებგვერდზე (**www. science.org.ge**), კანდიდატის CV და ფოტოსურათი წარმოდგენილი უნდა იყოს ელექტრონული ფორმით ელექტრონულ მისამართზე (**hr@science.org.ge**).

საბუთები მიიღება საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში (მისამართი: თბილისი, რუსთაველის გამზირი 52), 2024 წლის 15 ოქტომბრიდან 15 ნოემბრის ჩათვლით), ყოველი სამუშაო დღის $11^{00}$-დან $17^{00}$ საათამდე.

საბუთების მიღებას განახორციელებს აკადემიის ადამიანური რესურსების მართვისა და სპეციალურ დავალებათა დეპარტამენტი (IV სართული, ოთახი 409), ხოლო რეგისტრაციას – აკადემიის კანცელარია.

**შენიშვნა:** დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია აკადემიის ადამიანური რესურსების მართვისა და სპეციალურ დავალებათა დეპარტამენტში (საკონტაქტო პირი – **ავთანდილ აბაშიძე,** ტელ. 2 93-29-86; 599 51 00 07).



## ისტორიამ მწარედ იცის კუდის მოქნევა!

## გამოცდები

კახა ლომაია



# ვალპურგის ღამის (მო)ჩვენებანი

**ეს ინფორმაცია ამ ზაფხულს სოციალურ ქსელში გამოჩნდა და არცთუ დიდად მიუქცევია საზოგადოების ყურადღება: ლომაიას წიგნი გამოუცია და პრეზენტაციაც გაუმართავს!**

მგონი, ბევრს აღარც ახსოვს, რა ცოდვაბრალი დაატრიალა რევოლუციური ხელისუფლების მთავარმა ჯალათმა განათლებისა და მეცნიერების მიმართულებით. მგონი, ზოგს ლომაიაც აღარ ახსოვს, რადგან აღარავის უნახავს ეს კაცი 2008 წლის აგვისტოს შემდეგ, როდესაც იგი ცხინვალის მისადგომებთან იწონებდა თავს, ახლა უკვე როგორც უშიშროების საბჭოს ხელმძღვანელი საგანმანათლებლო ველზე, როგორც მინისტრს, „გმირობა“ უკვე მოეპოვებინა და ახლა სხვა რანგის მეწამული ტიტულებისათვის ემზადებოდა...

უნდა ვთქვა, რომ ცუდად მენიშნა ამ გაზრდილი აგრესიის ფონზე ნაცების „მრისხანე ავტორიტეტის“ გამოჩენა. მეორეც, ცხადია, ინტერესმა წამძლია, თუ როგორ შეაფასებდა განვლილი დროის დისტანციიდან თავის „ნაღვაწს“ ეს დამსახურებული გამანადგურებელი.

**ჰოდა, ორი თვეა, ხელს მწვავს იმავე დღეებში დაწერილი ეს გამოხმაურება და ვერ გადამიწყვეტია, ვაქციო თუ არა ის ჩვენი კეთილშობილი საზოგადოების ყურადღების საგნად. თანაც, ყოველთვის ვწონი, რომ რაიმე მოვლენაზე რეაქციისას პირადი ჯავრი კი არ იყოს განმსაზღვრელი, არამედ საზოგადო სატკივარი...**

და სწორედ იმის შეგნებით, რომ ლომაიას ეს პუბლიკაცია ერთ-ერთი კომპონენტია იმ ტოტალური და გეგმაზომიერი იერიშისა, რომელიც ბოლო დროს სულ უფრო ძლიერდება ჩვენი სამშობლოს წინააღმდეგ, გადავწყვიტე გზა მივცე ამ აქცენტირებულ რეპლიკას (უფრო სერიოზული ანალიზი ამ ტექსტებისა დროის საქმეა).

ყველა ხედავს, რომ „ნაცმოძრაობა“ სასოწარკვეთით ცდილობს, თავი დააღწიოს თავისი ცოდვების ფატალურ უკუცემას და ამ ფართხალში სულ უფრო და უფრო ეფლობა უკეთურებათა წებოვან ლიაში. მაგრამ ამ პოლიტიკური შეფერილობის დუნდგოსაც ჰყავს ჭკვიანი, რაციონალური შეგნების მხარდამჭერები თუ თანამგზავრები, რომლებიც გზადაგზა ახერხებენ უფრო ძლიერი ან ახალი ფიგურებით გადაფარონ ის ნეგატიური ფონი, რომელიც თავადაც ბედისწერად მოსდევს ამ ქვეყნისთვის საბედისწერო ამ „მოძრაობას“.

სწორედ ამ მცდელობის გამოხატულება ჩანს ლომაიას სახელით გამოსული ეს წიგნიც.

საქმე ის არის, რომ თქვენც ჩემსავით გაგიცრუვდებათ იმედი, თუკი მოელოდებით, რომ წიგნში იხილავთ უკვე „დაბრძენებული“ ლომაიას განვლილი დრამატული ამბების ახლანდელ „განაზრებებს“. – არა, დამსხდარა ნაციონალების ის მოაზროვნე ნაწილი, მოუგროვებია ლომაიას ქარაშოტულ მოღვაწეობაში გაკეთებული ცალკეული გამოსვლები, ინტერვიუები, გამონათქვამები... შემოუმშვენებია ახლანდელ შემფასებელთა „გარნირით“ და ასე შემოუსაღებია, როგორც თანამედროვე „ლომაიას წიგნი“. თანაც, მაშინდელი მრისხანე „ალექსანდრე“ კი არ დაუწერიათ ამ წიგნისათვის, არამედ რბილშინაურული – „კახა ლომაია“.

დიახაც იციან პიარტექნოლოგიები!..

აი, როგორ შეუფასებიათ ლომაიას მოღვაწეობის შედეგები უცხოელ მეგობარ ექსპერტებს:

თურმე ადრე „პრივილეგირებული ოჯახ-

გაგრძელება მე-5 გვერდზე

# სანამ წართმეულს ლანგრით მოგვართმევდნენ...



**საქართველოს დღევანდელი ხელმძღვანელობა გულწრფელად აფასებს წარსულს. თქვეს კიდეც, ჩვენ ისტორიული შერიგება გვინდაო. ხოლო რა ფორმა ექნება ამ შერიგებას, ეს თავად ქვეყნებმა უნდა გადაწყვიტონ. აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი საქართველოს მეზობლები არიან და მათ შორის კონტაქტები ისედაც გარდაუვალია...**

**სერგეი ლავროვი**

**არაფერი ახალი და სასიამოვნო! დღევანდელ მსოფლიოში შექმნილია უკიდურესად დაძაბული პოლიტიკური ვითარება. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას: კაცობრიობა დგას ახალი გლობალური ომის წინაშე, რომელმაც, შესაძლოა, სამუდამოდ დაასრულოს კაცობრიობის ისტორია. ამის კიდევ ერთი დასტურია 25 სექტემბერს რუსეთის ხელისუფლების აშკარა მუქარა მის მიერ ბირთვული იარაღის გამოყენების შესახებ.**

კერძოდ, პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა გამოაქვეყნა „დოქტრინა", რის თანახმადაც, „ბირთვული იარაღის გამოყენება გათვალისწინებულია რუსეთზე არა მხოლოდ ბირთვული, არამედ ჩვეულებრივი იარაღით მასიური თავდასხმის შემთხვევაში".

ეს „ჩვეულებრივი იარაღი" კი გახლავთ სტრატეგიული და ტაქტიკური თვითმფრინავები, ფრთოსანი რაკეტები, უპილოტო თვითმფრინავები, ზებგერითი რაკეტები... ანუ ყველა ის იარაღი, რასაც უკრაინა ასე დაჟინებით მოითხოვს თავისი დასავლელი მოკავშირეებისაგან რუსეთის სტრატეგიული ობიექტების გასანადგურებლად.

აღარაფერს ვამბობ მახლობელ აღმოსავლეთში შექმნილ არანაკლებ საშიშ ვითარებაზე, რომელშიც უკვე ოფიციალურად ჩაერთო ირანი.

ალბათ არ ღირს იმაზე ბევრი ლაპარაკი, რომ საქართველო არის დღევანდელი მსოფლიო ცივილიზაციის გამორჩეული ნაწილი, აქვს საკმაოდ საინტერესო სტრატეგიული მდებარეობა მსოფლიოს რუკაზე და არის რუსეთისა და ირანის კარის მეზობელი. იმის გახსენებაც ღირს, რომ რუსეთის გარდა, საქართველოსადმი არცთუ გულგრილი დამოკიდებულება აქვთ ჩვენს დასავლელ და ამერიკელ მტერ-მოყვრებს.

და, რაც მთავარია, საქართველოს აქვს უმტკივნეულესი ტერიტორიული პრობლემები, რომელთა მოგვარება რუსეთის ჩაურევლად წარმოუდგენელია!

აი, ამ ფონზე რუსული საინფორმაციო სააგენტო „რია ნოვოსტი" ავრცელებს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი ლავროვის განცხადებას გაეროს გენერალური ასამბლეის 79-ე სესიის შემდეგ: „საქართველოს დღევანდელი ხელმძღვანელობა გულწრფელად აფასებს წარსულს. თქვეს კიდეც, ჩვენ ისტორიული შერიგება გვინდაო. ხოლო რა ფორმა ექნება ამ შერიგებას, ეს თავად ქვეყნებმა უნდა გადაწყვიტონ. აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი საქართველოს მეზობლები არიან და მათ შორის კონტაქტები ისედაც გარდაუვალია. თუ მხარეები დაინტერესდებიან, მზად ვიქნებით დავეხმაროთ".

რუსული და, თუნდაც, მსოფლიო დიპლომატიის ისტორიიდან გამომდინარე, შესაძლოა, ლავროვის ეს განცხადება ბევრს არაფერს ნიშნავდეს, მაგრამ საქართველოს ამ ტერიტორიების ფაქტობრივი ოკუპაციიდან, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის „რესპუბლიკების" აღიარებიდან, ეს გახლავთ რუსეთის პირველი მინიშნება საქართველოსთან მოლაპარაკებების დაწყების შესაძლებლობაზე. შესაბამისად, ჩვენი მხრიდან მისი უყურადღებოდ დატოვება, ვფიქრობ, მიუტევებელი შეცდომა იქნებოდა.

საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებმაც ლავროვის ამ „მესიჯს" ფრთხილი და მოზომილი განცხადებებით უპასუხეს. სამაგიეროდ, საკმარისზე მეტად გაღიზიანებული ტონი ჰქონდა „აფხაზეთის საგარეო საქმეთა მინისტრს" სერგეი შამბას: „გვინდა, ქართველ პოლიტიკოსებს შევახსენოთ, რომ საქართველომ თავად უნდა მოაწესრიგოს ურთიერთობა რუსეთთან. ამიტომ, წინასაარჩევნო რბოლის დროს „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის" და სხვა მითიური ტერმინების შესახებ რეალობასთან შეუსაბამო სტერეოტიპებზე სპეკულირების ნაცვლად, ქართველმა პოლიტიკოსებმა რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებით უნდა დაიწყონ".

ლავროვის ხსენებული განცხადება სათავისოდ თარგმნა „ცხინვალის საგარეო საქმეთა მინისტრმა" ასხარ ჯიოევმა: „რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა, შერიგების შესახებ საქართველოს ოფიციალური პირების ბოლოდროინდელი განცხადებების კომენტირებისას აღნიშნა, რომ ეს თავად აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გადასაწყვეტია. რუსი პარტნიორები ყველაფერს აკეთებენ საქართველოს, სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთს შორის შეთანხმებების შესახებ დოკუმენტის ხელმოსაწერად. ფაქტობრივად, მინისტრმა ლავროვმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი ამას. რაც შეეხება მომავალში საქართველოსთან ურთიერთობის დამყარების შესაძლებლობას, ამაზე სამხრეთ ოსეთის პოზიცია ცნობილია – ჩვენ გამოვდივართ აღიარებული სახელმწიფოს არსებული სტატუსიდან".

ისიც გავიხსენოთ, რომ ამ განცხადებებს წინ უსწრებდა რუსეთის მთავრობის გადაწყვეტილება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის „რესპუბლიკებისთვის" სახელფასო დაფინანსების შეწყვეტაზე, რაც, ჩემი აზრით, იყო კიდევ ერთი მინიშნება საქართველოს ხელისუფლებისთვის.

იმის დავიწყებაც არ გვმართებს, რომ 30 სექტემბერს რუსეთის პრემიერ-მინისტრმა მიხაილ მიშუსტინმა აფხაზეთს კრემლისგან ნაჩუქარი „დამოუკიდებლობის დღე" ოფიციალურად მიულოცა.

იმედია, არ ვცდები, რომ ბოლო დროს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში იმედის ნაპერწკალი გაჩნდა. თუმცა, ამჯერად საინტერესოა არა პუტინის, ლავროვის, მიშუსტინის, შამბას, ჯიოევის ან კობახიძის განცხადება-კომენტარები, არამედ ყოვლად „უპატრიოტესი" ქართველი ოპოლიდერების კომენტარები ლავროვის განცხადებასა და რუსეთ-საქართველოს შორის გაყინული ურთიერთობების შესაძლო დათბობაზე, საქართველოს ხვალინდელ დღეზე.

**თამარ კორძაია: „ლავროვი, რა თქმა უნდა, თავისი განცხადებით ადასტურებს იმას, რომ შეხმატკბილებით მუშაობს „ქართულ ოცნებასთან" და ბიძინა ივანიშვილთან. ძალიან სამარცხვინოა „ქართული ოცნებისთვის", რომ ლავროვი საქართველოს ხელისუფლებას ე.წ. რუსეთის მიერ აღიარებულ დამოუკიდებელ სახელმწიფოებთან თანამშრომლობის სურვილს უწონებს. ამაზე მეტი სირცხვილი, როგორ შეიძლება საქართველოს ხელისუფლებამ ჭამოს თავისი ქმედების შესაბამისად".**



**თეონა აქუბარდია: „მაქვს მარტივი კითხვა, რატომ არ გამოჩნდა არცერთი „ქართული ოცნების" მოლაპარაკე თავი, რომელიც თუნდაც ლავროვის განცხადებაზე იტყოდა, რომ აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი არის საქართველო და ეს განცხადება არის საქართველოს სუვერენიტეტის საწინააღმდეგო. ლავროვის განცხადება იყო „ქართული ოცნებისადმი" მოწოდება, რომ აღიაროს ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის დამოუკიდებლობა".**



**მამუკა ხაზარაძე: „უნდა ვთქვათ სიმართლე: რუსეთი არის აგრესორი, ომის გამომწვევი და ოკუპანტი. არავის სჯერა იმ ტერიტორიების დაბრუნების, რომელზეც ისინი თავად შეიჭრნენ. ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საუკეთესო გზა არის „ქართული ოცნების" ხელისუფლებიდან ჩამოშორება და ეს 26 ოქტომბერს მოხდება!"**



**სერგო ჩიხლაძე (ნაციონალური მოძრაობის მორიგი ლიდერი): „ეს არის მორიგი დაცინვა! ურთიერთობების დალაგება, საქართველოს გამთლიანება და კეთილდღეობა ევროპის კავშირზეა. ჩვენ გავხდებით ევროპის კავშირი და ეს პრობლემები მოგვარდება. რაც შეეხება ლავროვს, ეს არის დაცინვა! ის იყენებს „ქართული ოცნების", ბიძინა ივანიშვილის ანტიქართულ განცხადებებს, რომელიც ხშირ შემთხვევაში „ათეთრებს" რუსეთს. ისინი ამით კმაყოფილები არიან. ევროპის კავშირია ჩვენი ქვეყნის გამთლიანების გარანტი და არა ლავროვი".**



**ლევან მაჭავარიანი: „რუსეთის რიტორიკის ცვლილებას, რა თქმა უნდა, დადებითად ვაფასებთ, მაგრამ მას უნდა მოჰყვეს კონკრეტული ნაბიჯები, უპირველეს ყოვლისა, ეს არის რუსეთის ჯარების გაყვანა ოკუპირებული ტერიტორიებიდან".**



**გასაგებია, რომ ოპოზიციაში ხარ და ხელისუფლება უნდა აკრიტიკო, მაგრამ, თუ კრიტიკა სრულ უვიცობაში გადაიზრდება, ეს მის მთქმელს კარგს არაფერს მოუტანს.**

* * *

**იმედია** დამეთანხმებით, რომ ამ მოსაზრებების კომენტირება, უბრალოდ, შეუძლებელია. რჩება სრული შთაბეჭდილება, რომ აქ ნახსენები და ბევრი სხვა ოპოზიციონერი პოლიტიკოსი საქართველოში კი არა, რომელიღაც შორეულ პლანეტაზე ცხოვრობს. იმის დაჯერებაც ძალიან რთულია, რომ ეს სრულწლოვანი ადამიანები მართლაც ასე ფიქრობენ. მართლაც მიაჩნიათ, რომ რუსეთთან კი არა, მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანასთან ნებისმიერი სადაო საკითხის მოგვარება შესაძლებელია... მდუმარედ, მოულაპარაკებლად, შორიდან მუშტების ქნევით, „ქათქათა" უკანალების დანახვებით.

წარმოიდგინეთ რა მოხდება, ერთ მშვენიერ დღეს რუსეთსა და საქართველოს შორის ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნებაზე უმაღლესი დონის მოლაპარაკებები რომ დაიწყოს – სულაც არ არის გამორიცხული, დღევანდელმა რადიკალებმა რუსეთს პატრიოტიზმით შეფუთული ომი გამოუცხადონ.

**დაუჯერებელია, მრავლისმნახველ, ერთ დღეში მრავალი მილიონის მომხვეჭელ ნაკომკავშირალ-ნაკომუნისტარ მამუკა ხაზარაძეს მართლა სჯეროდეს, რომ თუნდაც „ლელოს" ხელისუფლებაში მისვლისთანავე ევროკავშირი რუსეთს მიწასთან გაასწორებს და ოკუპირებულ ტერიტორიებს ლანგრით მოგვართმევს!**

ძალიან საწყენია, რომ ქალბატონ თეონა აქუბარდიას, მისივე ნათქვამიდან გამომდინარე, თურმე ბუნდოვანი წარმოდგენაც კი არა აქვს ელემენტალურ სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებზე.

**გასაგებია, რომ ოპოზიციაში ხარ და ხელისუფლება უნდა აკრიტიკო, მაგრამ, თუ კრიტიკა სრულ უვიცობაში გადაიზრდება, ეს მის მთქმელს კარგს არაფერს მოუტანს.**

არადა, მეგონა, ოკუპირებული ტერიტორიები იყო ის მთავარი პრობლემა, რაზეც ხელისუფლება და მისი თუნდაც რადიკალური ოპოზიცია ფრთხილად, ზომიერად და შეთანხმებულად ილაპარაკებდნენ.



**თეიმურაზ ძორიძე**
**06. 10. 2024**



**ირაკლი კირცხალია:**

## გასაკვირია, როცა ევროპარლამენტიდან სააკაშვილის უპირობოდ გათავისუფლებაზე ვისმენთ განცხადებას

**დიახ, ერთობ გასაკვირია, როცა ევროპარლამენტიდან სააკაშვილის უპირობოდ გათავისუფლების თაობაზე ვისმენთ განცხადებას. ევროპას ვიცნობთ, როგორც კანონის უზენაესობის დაცვის სივრცეს. შესაბამისად, ეს განცხადება გაუგებარია, – ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა ირაკლი კირცხალიამ განაცხადა.**

„სანქციების დაწესებას რაც შეეხება, რუსეთის ფედერაციასთან ბალტიისპირეთის ქვეყნებმა 20 პროცენტით გაზარდეს ვაჭრობა. საქმე გვაქვს ორმაგ სტანდარტთან, რასაც საზოგადოება ნათლად შეაფასებს. ასეთი ანტისახელმწიფოებრივი მოთხოვნები როდესაც არის, ამას არანაირი ფასი არ აქვს. საზოგადოება ამ რეზოლუციას ნათლად შეაფასებს და ლობისტებს პასუხს გასცემს 26 ოქტომბერს, რადგან რეზოლუციაში ანტიდემოკრატიული მოთხოვნებია ჩადებული"...

მესამე გვერდიდან

# ვალპურგის ღამის (მო)ჩვენებანი

**კახა ლომაია, ცხადია, სიამაყით გვახსენებს ალექსანდრე ლომაიას სხვა საგმირო საქმეებსაც: იმას, თუ როგორ „ამოძირკვა“ ეროვნული ცოდნის ტაძარი — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, როგორ დაშალა ჩვენი ქვეყნის აკადემიური სამეცნიერო სისტემა, როგორ გაანადგურა ეროვნული მნიშვნელობის სამეცნიერო სკოლები, კათედრები, კაბინეტები და ლაბორატორიები...**

ის შვილებმა, რომელთაც შეეძლოთ უზომოდ დიდი ქრთამის მიცემა სტრატეგიული „შუამავლებისათვის“, ან პირდაპირი კავშირები ჰქონდათ წამყვან ადმინისტრატორებთან, საქართველოს მთავარი უნივერსიტეტებიდან გამოდევნეს ყველა, გარდა ყველაზე ჭკვიანი სტუდენტებისა. სხვა სტუდენტებმა არჩიეს დიპლომები აეღოთ მზარდი რაოდენობის კერძო უნივერსიტეტებში...“,

ხოლო რევოლუციის შემდეგ „ამ რეფორმატორთა ძალისხმევით განათლებამ ისეთი ხარისხი მიიღო საქართველოში, რაც აქამდე არ ჰქონდა. ათიათასობით სტუდენტი, რომელთაც ბოლო ათწლეულში ჩააბარეს ერთიანი ეროვნული გამოცდები, თავიანთ წარმატებას უმადლიან საკუთარ აკადემიურ მოსწრებას და არა კავშირებს ან ფინანსურ რესურსებს...“ როგორ არ მოგაგონებთ ყოველივე ეს საქმეში ჩაუხედავსა და უცერემონიო განცხადებებს ახლანდელი ევროსაბჭოსა თუ სხვა „ინტერესთა ჯგუფებისაგან“!

წიგნს მრავლისმთქმელი სახელი — **„გამოცდები“** ჰქვია და მკითხველისთვის ძნელად მისახვედრი არ უნდა იყოს ამ სათაურის როგორც პირდაპირი, ისე ქვეტექსტური მნიშვნელობა.

ცხადია, წიგნის „ავტორი“ კახა ლომაია ერთიან ეროვნულ გამოცდებს მონისტრ ალექსანდრე ლომაიას პირველ და მთავარ დამსახურებად მიიჩნევს და წიგნის სათაურსაც ამ აქცენტით არჩევს და მასში შესულ იმდროინდელ ცილისმწამებლურ, კაცთმოძულე პუბლიკაციებსაც.

**ჩვენს საზოგადოებას კიდევ ერთხელ უნდა შევახსენოთ, რომ ეროვნული გამოცდების იდეის შემოტანაც და მისი მომზადებაც მინისტრ ალექსანდრე კარტოზიას დამსახურებაა, ხოლო ლომაიამ უკვე საფუძვლიანად მომზადებული ეს პროექტი მიითვისა და ნაადრევი, ფორსირებული რეალიზაციით მნიშვნელოვნად დააზარალა ეს საკვანძო საგანმანათლებლო ინიციატივა, ისე, რომ, ეროვნული სკოლის გაძლიერების ნაცვლად, იგი ძირეულად დაუპირისპირა სასკოლო განათლების ინტერესებს.**

ლომაია, თავისი ბელადის კვალად, კორუფციასა და რეპეტიტორობასთან ბრძოლის ლოზუნგით მოვიდა და თავისი „ბრძნული მოღვაწეობის“ შედეგად ისეთი სისტემური კორუფციული და რეპეტიტორული ქსელი შექმნა, რომელსაც, მათეული კორუფციული სქემებით, ლამის მთელ მსოფლიოში აქვს ფესვები გადგმული, ხოლო ეროვნული გამოცდების ბაზაზე და მისი მოთხოვნების დონეზე აღმოცენებულ საყოველთაო რეპეტიტორობის სისტემას დღემდე არ უჩანს სანუგეშო გამოსავალი.

კახა ლომაია, ცხადია, სიამაყით გვახსენებს ალექსანდრე ლომაიას სხვა საგმირო საქმეებსაც: იმას, თუ როგორ „ამოძირკვა“ ეროვნული ცოდნის ტაძარი — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, როგორ დაშალა ჩვენი ქვეყნის აკადემიური სამეცნიერო სისტემა, როგორ გაანადგურა ეროვნული მნიშვნელობის სამეცნიერო სკოლები, კათედრები, კაბინეტები და ლაბორატორიები...

როგორ არ უნდა შეგვეცოდოთ მის ხელში ხუზუა, რომელსაც სათაკილო საქმეები აკეთებინა დედაუნივერსიტეტში და, ამ ჭრელი პუბლიკაციის გათვალისწინებით, ხელმძღვანელობის წინაშე ასეთი დამსახურების კაცი სველი ხელსახოცივით მოისროლა!..

და ყოველივე ამას ლომაია (კახა) გვახსენებს ჩვეული ცინიზმითა და კაცთმოძულეობით. არავითარი სინანული იმის გამო, რომ მის ნგრევის მანიას, სხვას რომ თავი დავანებოთ, შეეწირა არაერთი კეთილშობილი, დამსახურებული მეცნიერისა და პედაგოგის სიცოცხლე. რა სინანული! — ამ ტექსტებში ხომ ექოსავით ისმის ლომაიასა და მისი პარტიის სულიერი წინაპრების მთავარი ლოზუნგი: **„როცა ხეს ჭრიან, ნაფოტებიც ცვივა!..“**

ამ ერთ ფაქტს კი ხელისუფლების ყურადღების მისაქცევად გავუსვამ ხაზს, თუნდაც ნიშნისმოგებად ჩამითვალონ:

მინისტრყოფილი ლომაია დაჯერებულია, რომ მის მიერ ჩატარებულ „რეფორმას“ ძვრაც ვერ უყვეს და ამას მეორე დიდ ავტორიტეტზე — კახა ბენდუქიძეზე მითითებით აკეთებს:

**„კახა ბენდუქიძის სიტყვებს რომ მივუბრუნდე — რეფორმების მოწინააღმდეგეებს ჩვენი აშენებულის დანგრევა უნდა გავურთულოთო — განვლილმა დრომ აჩვენა, რომ ჩვენ პრინციპულად სწორად ვიმოქმედეთ. რეფორმები უნაკლო არ ყოფილა, მაგრამ, მიუხედავად ჩვენი და ჩვენი თანამოაზრეების შეცდომებისა და ჩვენი ოპონენტების დესტრუქციულობისა, რეფორმების შენობა გადარჩა. მან მრავალ გამოცდას, და, მათ შორის, დროის გამოცდას გაუძლო.“**

„დროის გამოცდას გაუძლოო“... — აქვს, ჩვენდა სამწუხაროდ, ამის თქმის საფუძველი. რაც შეეხება ბენდუქიძის ინსტრუქციას, ცხადია, მისი პირვანდელი შინაარსი ამგვარი იყო: „ისე უნდა დავანგრიოთ, მისი ნაშთების მოგროვებაც ვეღარ შეძლონო!“ და ეს ნამდვილად ადეკვატურად ასახავს აღნიშნული რეფორმის მიზანსაც და შედეგსაც.

კახა ლომაიას თუ მის გამომსარჩლებლებს იმდენად მოსაფრთხილებელი ჰგონიათ მინისტრ ალექსანდრე ლომაიას „იმიჯი“, რომ მაშინდელი მოარული ხმების გაბათილებაც უცდიათ, — კანალიზაციის სპეციალობა ჰქონდა „გეპეიში“ დამთავრებულიო (თურმე რაღაცის ინჟინერი ყოფილა)!

**ნურას უკაცრავად, ალექსანდრე ლომაიას „კანალიზაციის მინისტრს“ დიპლომის ჩანაწერის გამო კი არ უწოდებდნენ, არამედ იმის გამო, რომ განათლების მინისტრის ამპლუაში მან ისეთი ენითა და ქცევებით გამოიჩინა თავი, რომელსაც კანალიზაციის სპეციალისტიც არ იკადრებდა; იმის გამო, რომ მშობლების ხნის დამსახურებულ ხალხს „ჩარეცხილებს“ ეძახდა და მინისტრის კაბინეტში თავში უბაყუნებდა შემპასუხებლებს!..**

ცნობილია კრიმინალური ფსიქოლოგიის ერთი სინდრომი: მკვლელი ოდესმე აუცილებლად ბრუნდება დანაშაულის ჩადენის ადგილას. უთუოდ მალე გამოჩნდება, ამ სინდრომის გამოვლენაა ლომაიას იდუმალებით მოცული გამოჩენა დედაქალაქში, თუ ის რაიმე გარედან დაგეგმილ პოლიტიკურ სვლას უკავშირდება. ის კი ნამდვილად უნდა ვიცოდეთ, რომ უახლოესი სისხლიანი წარსულის დავიწყება თუ მიყურისძირება კარგად არ წაადგება ჩვენს მრავალტანჯულ ხალხსა და ქვეყანას. სულ უნდა გვახსოვდეს, რომ დაუსჯელი დანაშაული ყველაზე ნაყოფიერი წყაროა სიკეთეზე შურისძიებისა და რევანშიზმისათვის. არადა, როგორ ძლიერდება დროდადრო ეს სულისკვეთება ჩვენს გარშემო! ეს წიგნიც სწორედ ამისი მკვეთრი ილუსტრაციაა.

როგორც სხვა ყველაფერი, ნაციონალების ავტორიტარული რეჟიმის ცხრა წელიც ჟამთასვლის კანონზომიერებას ექვემდებარება: რაც დრო გადის, მით უფრო ფერმკრთალდება იმ ამბების ადგილი მეხსიერებაში და, საბჭოური ჰაუპტვახტებისა არ იყოს, ლამის იუმორნარევ უწყინარ მოგონებად იქცეს ის ტკივილიანი წლები. **არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ისტორიამ მწარედ იცის კუდის მოქნევა. დიახ, ის წლები მეხსიერებაში რჩება როგორც ერთი გაბმული ვალპურგის ღამეები, რომელთა თითქმის ყოველი გათენება ახალი შოკი (ისინი რომ „ეფექტურს“ ეძახდნენ) იყო ჩვენი დაზაფრული საზოგადოებისათვის. შეგახსენებთ, ბევრ ვინმეს შეუდარებია კუდიანების როკვისა და მსხვერპლშეწირვის სატანისტური რიტუალებისათვის, როგორც წესი, საღი ჭკუისა და ლოგიკისათვის ძნელად გასაგები მათი „ფორსირებული“ მოქმედებანი.** ამიტომაც ვახსენეთ სათაურში **„ვალპურგის ღამე“.** ხოლო მასთან შესიტყვებული ფორმა **„(მო)ჩვენებანი“** იმას გულისხმობს, რომ, უწინარეს, ამ წიგნის მეშვეობით თქვენს მეხსიერებაში გაცოცხლდებიან რევოლუციური წლების კოშმარული **მოჩვენებები,** მაგრამ, ამავე დროს, ლომაიას ეს ტექსტები არის დოკუმენტირებული (თუმცა აქა-იქ შელამაზებული) **ჩვენებანი** იმ საქმის შესახებ, რომელსაც მომავალი აუცილებლად გაუჩენს თავის სამართალს.

ამ წიგნის ყდებზე ლომაია (ალექსანდრე!) შეიარაღებული ძალოვნებისა და სამხედრო მანქანების ფონზე პოზირებს, — ისე ჩანს, მკლავებს იკაპიწებს. ფონი შედარებით დაბინდულია და ამიტომაც ძნელი სათქმელია, დედაუნივერსიტეტში ლომაიას მიერ პოლიცია-უშიშროების შეყვანას ასახავს ეს კადრები, თუ ცხინვალის მიმართულებით ავანტიურისტულ ფეხების ბაკუნს; მაგრამ ერთი კი ნამდვილად ერთმნიშვნელოვნად იკითხება: ეს სურათი სერიოზული მუქარაა ჩვენი ქვეყნის სიმშვიდისა და სტაბილური განვითარებისათვის.

ეს კი პუბლიცისტიკის თემა ნამდვილად არ არის.

**ეს ქვეყნის უსაფრთხოების საკითხია!**



**ავთანდილ არაბული,**
აკადემიკოსი

## პიტერ ფიშერი:
## ჩვენ არ გვსურს ვიზალიბერალიზაციის შეწყვეტა!



**ჩვენ არ გვსურს ვიზალიბერალიზაციის შეწყვეტა, მივესალმებით საქართველოს მოქალაქეების შენგენის ზონაში გადაადგილებას, თუმცა როგორ განვითარდება მოვლენები, არ ვიცით, — ამის შესახებ საქართველოში გერმანიის ელჩმა პიტერ ფიშერმა განაცხადა.**

მისივე თქმით, საგარეო ურთიერთობათა საბჭოს და ევროპული საბჭოს გადაწყვეტილებებით, მაგიდაზე ყველა ვარიანტი დევს.

„არ ვიცი, რამდენად შესაძლებელი სცენარია, ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ განვითარდება მოვლენები. საგარეო ურთიერთობათა საბჭოს და ევროპული საბჭოს გადაწყვეტილებებით ყველა ვარიანტი დევს მაგიდაზე. როგორ განვითარდება მოვლენები, არ ვიცით. ჩვენ არ გვსურს ამის შეწყვეტა. ჩვენ მივესალმებით, რომ საქართველოს მოქალაქეებმა შენგენის ზონაში უვიზოდ შეძლონ გადაადგილება. სწორედ ამიტომ გაიხსნა შენგენის სივრცე ქართველებისთვის. გვსურს, რომ სტუდენტები ჩამოვიდნენ, ტურისტები, გვსურს, რომ ყველა ჩამოვიდეს, ვისაც ამის სურვილი აქვს.

თქვენ ძალიან სასურველები ხართ. ასე რომ, ეს ყველაფერი დამოკიდებული იქნება მოვლენების განვითარებაზე. ევროკავშირი საქართველოს პარტნიორია. 30 წლის განმავლობაში ის ძალიან კარგი პარტნიორი იყო. გერმანია ევროკავშირის წევრი სახელმწიფოა. ჩვენ ყველაზე დიდი წევრი სახელმწიფო ვართ. ჩვენც ასევე ძალიან კარგი პარტნიორები ვართ საქართველოს 30 წელია და ჩვენ ვისურვებდით, რომ გავაგრძელოთ ეს, მაგრამ პარტნიორობა ორმხრივია. ვფიქრობ, სულ ეს არის, რისი თქმაც შემიძლია“, — აღნიშნა გერმანიის ელჩმა საქართველოში.

ელჩის განმარტებით, 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები ქართველი ხალხისთვისაა და გადაწყვეტილებასაც სწორედ ის იღებს.

**„ჩვენ გერმანიის სახელით, ჩემი სახელით, ჩვენ არა ერთხელ ვთქვით, ეს არჩევნები ჩვენთვის არ არის. ეს არჩევნები ქართველი ხალხისთვისაა. თქვენ უნდა გადაწყვიტოთ, თქვენ შეგიძლიათ გადაწყვიტოთ როგორი მთავრობა გსურთ. თქვენ შეგიძლიათ ისეთი კანონები მიიღოთ, როგორიც გსურთ. როცა რამეს ვამბობთ, ვამბობთ, რადგან საქართველომ შეიტანა განაცხადი ევროკავშირის წევრობაზე. ასე რომ, ჩვენი მოვალეობაა ვთქვათ, რა არის კარგი ამ აპლიკაციისთვის და რა არის ცუდი. ამაზე ვსაუბრობთ სწორედ. დანარჩენი, წადით არჩევნებზე, მიიღეთ გადაწყვეტილება, რა გსურთ. იმედი გვაქვს, გავაგრძელებთ მეგობრობას და პარტნიორობას.**

## სიცრუეში უფრო მალე ჩაიხრჩობით!

**არჩევნების დღის მოახლოებასთან ერთად, ჩვენი საზოგადოებისთვის უფრო ნათელი ხდება, რომ ოპოზიციის რადიკალური ფრთის და მათთან დაკავშირებულ სადამკვირვებლო ორგანიზაციებისა და მედია-საშუალებებისთვის მთავარი დღის წესრიგი საზოგადოებასა და საერთაშორისო პარტნიორებში მცდარი აღქმების შექმნაა, — ამის შესახებ „ქართული ოცნების“ დეპუტატმა გივი მიქანაძემ განაცხადა.**

დეპუტატის თქმით, ამისთვის ისინი ყველა ფორმის მანიპულაციას ეწევიან. 8 ოქტომბრის შუალედური ანგარიშიც ამის დადასტურებაა.

**„გრძელდება ე.წ. მიუკერძოებელი სადამკვირვებლო ორგანიზაციების მიერ მმართველი გუნდის საწინააღმდეგოდ განხორციელებული წინასაარჩევნო დარღვევების იგნორირება მათ მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშებსა და განცხადებებში. ეს ყოველივე კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ მიზანმიმართული კამპანია ამზადებს საზოგადოებისა და საერთაშორისო დამკვირვებლების განწყობებს არჩევნების არასწორი შეფასებისთვის. ამის საპასუხოდ, მმართველი გუნდი აგრძელებს მშვიდობიან წინასაარჩევნო კამპანიას და მუდმივ კომუნიკაციაშია საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციებთან.**

**აქვე გაცნობებთ, რომ უფრო მოცულობითი, დეტალური ანგარიში 16 სექტემბრიდან 6 ოქტომბრის ჩათვლით გამოვლენილ წინასაარჩევნო დარღვევებთან დაკავშირებით ტრადიციულად ატვირთულია „ქართული ოცნების“ Facebook გვერდზე. რა თქმა უნდა, ეს ანგარიში, მისი ქართული და ინგლისურენოვანი ვერსიები, დაეგზავნება დიპლომატიურ კორპუსს, საერთაშორისო დამკვირვებლებს და ყველა იმ პირს, ვინც დაინტერესებულია საქართველოში თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩატარებით და მათ ეს ინფორმაცია დეტალურად მიეწოდებათ.“** — განაცხადა გივი მიქანაძემ.

# როცა მამაკაცის ორგანიზმის „დამცველ კარს“ პრობლემები აქვს...



ალექსანდრე ხელაია

**ჩვენს ტრადიციულ სამედიცინო რუბრიკაში დღეს ახალი სტუმარი გვყავს – მედიცინის დოქტორი ალექსანდრე ხელაია, უროლოგ-ანდროლოგი, ლ. მანაგაძის სახელობის უროლოგიის ეროვნული ცენტრის მამაკაცის ჯანმრთელობის განყოფილების ხელმძღვანელი, რომელიც მამაკაცებში უშვილობის პრობლემებზე გვესაუბრება.**

**– ბატონო ალექსანდრე, რითაა განპირობებული უშვილობა მამაკაცებში და როგორია ამ პრობლემის კავშირი პროსტატის დაავადებებთან?**

– მამაკაცებში უშვილობის მიზეზები ერთობ მრავალფეროვანია, ამდენად რომელიმე ერთს განსაკუთრებულად ვერ გამოვყოფთ. მათგან ზევრი პროსტატის დაავადებებს უკავშირდება, თუმცა ეს არ არის წამყვანი ასპექტი.

ზოგადად თუ ვიტყვით, წინამდებარე ჯირკვლის ფუნქცია იმაში მდგომარეობს, რომ მის მიერ წარმოებულ ეგრეთ წოდებულ „სეკრეტს“, ანუ წვენს, ანტიბაქტერიული თვისებები გააჩნია და ერთგვარ „დამცველ კარს“ წარმოადგენს მამაკაცის ორგანიზმისთვის. პროსტატის წვენი სათესლე სითხის, სპერმის შემადგენელი ნაწილია, რომელსაც მამაკაცი გამოყოფს სქესობრივი აქტის დროს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პროსტატის წვენი ეაკულატის შემადგენელი ნაწილია. შესაბამისად, თუ პროსტატის სეკრეტში გარკვეული ანთებითი პროცესები მიმდინარეობს, ამან არ შეიძლება გავლენა არ იქონიოს სპერმატოზოიდების ხარისხზე. კერძოდ, სათესლე სითხეში მიმდინარე ანთებით პროცესს შეუძლია გამოიწვიოს სპერმატოზოიდების მოძრაობის უნარის დაქვეითება და, შესაბამისად, სპერმატოზოიდმა დაკარგოს განაყოფიერების უნარი და თვისება. სპერმატოზოიდმა ასევე შეიძლება ადრე მოახდინოს სპეციალური ნივთიერებების გამოყოფა, რაც აუცილებელია კვერცხუჯრედთან ზემოქმედების მომენტისთვის, რათა ეგრეთ წოდებული „კვერცხუჯრედის კარი“ გაიხსნას. ცილების ადამ-1-სა და ადამ-2-ის ადრინდელი გამოყოფა სპერმატოზოიდს კვერცხუჯრედთან ურთიერთობის დროს მისი განაყოფიერების იარაღს აცლის. ამასთან, არ არის გამორიცხული, რომ მსგავსი რამ დაკავშირებული იყოს პროსტატაში მიმდინარე ანთებით პროცესებთან, რომლებიც ყოველთვის კავშირშია სათესლე ბუშტუკებთან და მათში მიმდინარე ანთებით ცვლილებებთან. კერძოდ, სათესლე სითხეში მცირდება ისეთი ნივთიერებების რაოდენობა, როგორებიცაა ვიტამინი C, ფრუქტოზა, თუთია და ა. შ., რომელთაც სპერმატოზოიდი გამოიყენებს თავისი ენერგეტიკული უზრუნველყოფისთვის, ასე ვთქვათ, ენერგიის პოტენციალის აღსადგენად.

გამომდინარე აქედან, **პროსტატის დაავადებები ძალიან დიდ ზემოქმედებას ახდენენ მამაკაცის უშვილობაზე. ამიტომაც, ჩემს პირად პრაქტიკაში ყოველთვის ვცდილობ, დავადგინო, მიმდინარეობს თუ არა ანთებითი პროცესი უშუალოდ წინამდებარე ჯირკვალში ანუ პროსტატაში, ან სათესლე ბუშტუკებში, რადგან სპერმატოზოიდები ცოცხლობენ ამ სითხეში და თუკი იქ არაჯანსაღი გარემოა, სპერმატოზოიდი, როგორც ცოცხალი უჯრედი, ასეთ ვითარებაში იღუპება, რაც უშვილობის პირდაპირი მიზეზი ხდება.**

**ამიტომაც, ყველა ახალგაზრდას ვურჩევ, რომ მაქსიმალურად მოერიდოს უწესო, დაუცველ სქესობრივ ურთიერთობებს, რათა სქესობრივი გზით გადამდები სნეულებები არ შეეყაროს, ვინაიდან ისინი უკვე პირდაპირ წინამდებარე ჯირკვალში იბუდებენ და მერე ასეთი სერიოზული პრობლემის მიზეზად შეიძლება იქცნენ. და მეორე ის, რომ წინამდებარე ჯირკვალში მიმდინარე ამოუცნობი ანთებითი პროცესი შემდგომ შესაძლოა მეუღლეზე გადავიდეს, რაც ხშირად მათ შორის უშვილობის მიზეზი ხდება ხოლმე.**

**– მკურნალობის რა მეთოდებს იყენებს თანამედროვე მედიცინა ამ უაღრესად დელიკატური პრობლემის გადასაჭრელად და რამდენად ეფექტიანია ეს ხერხები?**

– თვალს თუ გადავავლებთ ამ საკითხისადმი მიძღვნილ სამედიცინო ლიტერატურას, დავინახავთ, რომ დღესდღეობით მასთან გასამკლავებლად მედიკოსები უმთავრესად ანტიოქსიდანტებს მივმართავთ. ეს არის ეგრეთ წოდებული მულტიკომპონენტი „მკვებავი დანამატები“, რომლებიც შეიცავენ სპეციფიკურ ნივთიერებებს, მათ შორის კარნიტინს, თუთიას, E ვიტამინს და სხვ., რომელთა დანიშვნით ექიმები ვცდილობთ, „გამოვასწოროთ“ როგორც სპერმის ხარისხი, ასევე დავაყენოთ ნანატრი ორსულობა.

როგორც ბოლოდროინდელმა მეტაანალიზებმა გვაჩვენა, რომლებიც ათასობით მამაკაცის უამრავ კვლევას მოიცავდნენ, აღნიშნული პრეპარატის ემპირიულმა (ანუ მიზეზებში ჩაუღრმავებლად) დანიშვნამ, არანაირი შედეგი არ მოგვცა და, ორსულობის დადგომა, პრაქტიკულად უტოლდებოდა პლაცებოს (ანუ ფიტული წამლის) ეფექტს. შესაბამისად, ემპირიულმა კვლევებმა ოქსიდანტების გამოყენებით, ფაქტობრივად, არ გამოიღო ის შედეგი, რომელიც მედიცინას სჭირდებოდა და რისთვისაც მათ ვიყენებდით.

სადღეისოდ, მედიკოსთა წინაშე ასევე მწვავედ დგას იმის გარკვევის საკითხი, თუ ანტიოქსიდანტებს შორის ან მათ კომბინაციებში, რომელია ეფექტიანობით ყველაზე მნიშვნელოვანი, როგორი უნდა იყოს ამ კომბინაციების შეხამება, მათ მდგენელ მრავალ კომპონენტთა დოზირება, ასევე საჭიროა იმის დადგენა, თუ რომელი მამაკაცი არის მიზნობრივად საუკეთესო კანდიდატი აღნიშნული პრეპარატების მიმართ.

არანაკლებ მნიშვნელოვანია საკითხი, თუ როგორი უკუეფექტი აქვს აღნიშნულ ანტიოქსიდანტებს, იმიტომ, რომ დიდი რაოდენობით მათ მიღებას შეუძლია უკურეაქციის გამოწვევა, ვინაიდან მცირე დოზით ოქსიდაციური სტრესი აუცილებელია ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე ფიზიოლოგიური პროცესებისათვის. გამომდინარე აქედან, სადღეისოდ მედიცინა ხშირად უძლურია შეურჩიოს კონკრეტულ ადამიანს კონკრეტული პრეპარატი. ამის ერთ-ერთი მიზეზი ისაა, რომ პროსტატაში მიმდინარე ანთებითი პროცესების გამოშიგნვა და იდენტიფიცირება ასევე ხშირად უგულებელყოფილი არის, ექიმი ამაზე ყურადღებას არ ამახვილებს და პირდაპირ იმის მცდელობაზე გადადის, რომ როგორმე გააუმჯობესოს სპერმის ხარისხის მაჩვენებლები და არ დაიწყოს იმ მიზეზთა დადგენა, თუ რა არის მისი გაუარესების მიზეზები.



**– რამდენად დიდია სტატისტიკურად მამაკაცთა მიზეზით უშვილობის დროს მათი ხვედრითი წილი, რომელიც, კერძოდ, პროსტატის პრობლემას უკავშირდება?**

**– როდესაც ამ მიმართულებით მუშაობას ვიწყებდი, უკვე არსებობდა დიაგრამები, რომლებზეც მკაფიოდ იყო ასახული უშვილობის პრობლემაში ცალ-ცალკე ქალისა და მამაკაცის როლები, ასევე რომელიმე მათგანის მიზეზით პრობლემის წარმოშობის მიზეზის დაუდგენლობის მაჩვენებელი. იმ ხანებში, მიჩნეული იყო, რომ უშვილობის შემთხვევებში მამაკაცებსა და ქალებს შორის „ბრალეულობა“ ასე ნაწილდებოდა: 20 პროცენტი მოდიოდა მამაკაცზე, 30 – ქალებზე, შემთხვევათა 50 პროცენტში კი ამის გარკვევა ვერ ხერხდებოდა. შემდეგ, დროთა განმავლობაში, მამაკაცთა ხვედრითი წილს სულ უფრო მეტად ზრდიდნენ და ახლა 50 პროცენტამდე ავიდნენ. მიახლოებით თუ ვიტყვით, სქესთა შორის უშვილობის პრობლემის არსებობაში „ბრალეულობა“ დღესდღეობით სანახევროდაა მიჩნეული. პირადად მე ამას ასე ვერ გამოვყოფდი, ვინაიდან მკაფიო ზღვარის გავლება შემთხვევათა აბსოლუტურ უმრავლესობაში შეუძლებელია. თანაც ნურც ის დაგვავიწყდება, რომ ეს ასევე ძნელია ეთიკურადაც და სამედიცინო თვალსაზრისითაც: არ შეიძლება წყვილს უთხრა, რომ უშვილობა არა შენი, არამედ შენი მეუღლის მიზეზითაა, რამაც შესაძლოა სერიოზული სოციალური, პიროვნული თუ სხვა სახის დაძაბულობა წარმოშვას. თანაც ამის თქმის უფლება ხშირად საერთოდაც შეუძლებელია სამედიცინო მაჩვენებლებიდან გამომდინარე. ამის განცხადება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა მამაკაცს აქვს სპერმის ხარისხის საგრძნობი დარღვევები, ან სათესლე ჯირკვლების განვითარების სერიოზული ჩამორჩენა და ჰორმონალური დარღვევები. უმეტესწილად სპერმის ანალიზი შეიძლება ნორმის ფარგლებში, ანდა მასთან ახლოს იყოს, მაგრამ უშვილობის გამო მამაკაცი მაინც იყოს ჩვენი პაციენტი. უამრავი კვლევაა ჩატარებული, სადაც შვილის ყოლის უნარის მქონე მამაკაცებშიც კი სპერმის ანალიზში გარკვეული გადახრები აღინიშნება. სტატისტიკის მონაცემებით, შვილის ყოლის უნარის მქონე მამაკაცთა 30 პროცენტზე მეტს, სპერმის ანალიზში სხვადასხვა გადახრები აქვს. შესაბამისად, მხოლოდ სპერმის ანალიზზე დაყრდნობით იმის მტკიცება, რომ რომელიღაც კონკრეტულ შემთხვევაში წყვილის უშვილობის მიზეზი მამაკაცია, არ შეიძლება.**

გამომდინარე აქედან, ჩემს პირად პრაქტიკაში, ყოველთვის ვცდილობ, რომ მამაკაცის კვლევის პარალელურად, მის მეუღლეს რეპროდუქტოლოგი იკვლევდეს, რადგან ხშირად ქალბატონის ორგანიზმში აღმოჩნდება ხოლმე ისეთი მიზეზი, რის დადგენის შემდეგ სამედიცინო თვალსაზრისით მამაკაცში რაღაცის გამოსწორება საჭირო სულაც აღარ იყოს. ვთქვათ, თუ ქალბატონს კვერცხმავალი მილები გაუვალი აქვს, მამაკაცს რაგინდ ვუმკურნალოთ, ორსულობა მაინც არ დადგება.

გამომდინარე აქედან, გინდ ქალი, გინდ კაცი, იმას, რომ უშვილობა რომელიღაც კონკრეტულ შემთხვევაში რომელიმე მათგანის მიზეზითაა, ჩვენ, ექიმები, არც ვამბობთ და ამის გაკეთებას არც მომავალში ვაპირებთ.

**– რა მდგომარეობაა ამ მხრივ საქართველოში და რა მონაწილეობას იღებს უშვილობის საკითხის გადაწყვეტაში სახელმწიფო? არსებობს თუ არა რაიმე კონკრეტული პროგრამა ახალგაზრდა უშვილო ოჯახებისთვის სათანადო კვალიფიციური სამედიცინო თუ ფინანსური მხარდაჭერის განსახორციელებლად?**

– ასეთი სტატისტიკური ინფორმაცია პირადად მე არ მომეძიება, თუმცა კი შემიძლია გითხრათ, რომ არსებობს ფორმულა, რომლითაც გამოითვლება ხელოვნური განაყოფიერების აუცილებლობის სტატისტიკა და, უხეშად რომ ვთქვათ, ეს მაჩვენებელია მილიონ მოსახლეზე 1500 წყვილი, ვისაც ყოველწლიურად ესაჭიროება ხელოვნური განაყოფიერება. საქართველოს მასშტაბით, ის ციფრი, შესაბამისად, ყოველ წელს დაახლოებით 4500 წყვილს შეადგენს.

რაც შეეხება უშვილობის პრობლემების გადაჭრაში სახელმწიფოს დახმარებას, ასეთი პროგრამა მხოლოდ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ხორციელდებოდა წლების წინ და, იმედი მაქვს, რომ ის ამჟამადაც მოქმედებს, თუმცა ამის თაობაზე ზუსტი ინფორმაცია არ გამაჩნია.

თქვენ კითხვა სწორად გაქვთ დასმული: რაღაც ფორმით დახმარების გაწევა უშვილო ოჯხებისთვის უპირველესად ასაკობრივი ცენზის გათვალისწინებით უნდა ხდებოდეს.

ჩემი სათქმელი ის გახლავთ, რომ სახელმწიფოს მხრიდან ზრუნვა და დახმარების გაწევის პოტენციალის მაქსიმუმი უწინარესად ახალგაზრდა უშვილო ოჯახისკენ უნდა იყოს მიმართული, სადაც ხელოვნური განაყოფიერების შედეგები გაცილებით უფრო მაღალი იქნება, ვიდრე იმ წყვილებში, სადაც ქალბატონების ასაკი აღემატება იმ კრიტიკულ დონეს, რომელიც 35-37 წელს სცილდება. ეს ის ასაკია, რომლიდანაც ქალის რეპროდუქციული პოტენციალი საგრძნობლად იკლებს, თუმცა კი მამაკაცებში ასეთი რეპროდუქტული „ფანჯარა“, გაცილებით დიდია.

გამომდინარე აქედან, გაცილებით უფრო კარგი შედეგი დადგება იმ შემთხვევაში, თუკი სახელმწიფოს მხრიდან უშვილო ოჯახებისთვის პრობლემის გადაჭრაში სათანადო დახმარების პროგრამა იმოქმედებს, რა დროსაც აქცენტი უფრო მეტად ახალგაზრდა წყვილზე გაკეთდება. ეს კი უპირველესად იმას ნიშნავს, რომ, თუ წყვილს ხელოვნური განაყოფიერება ესაჭიროება, რაც მას ახლავე უნდა გავაგებინოთ და დროულადაც განვახორციელოთ: ამის გაკეთების აუცილებლობა უმალვე ჩანს და საქმის გაჭიანურება არაფრით არ შეიძლება!

შესაბამისად, თუკი ასეთი სახელმწიფო პროგრამა იქნება და, შესაბამისად, ახალგაზრდა წყვილი პრობლემას დროულად აღიქვამს და მის გადაჭრაზე იზრუნებს, ეს ყველაზე მოკლე დროში უნდა განხორციელდეს, რაც ამქვეყნად ულამაზესი ახალი სიცოცხლის მობრძანების მყარი საწინდარი იქნება.



ესაუბრა
**ოთარ ტურაბელიძე**

# ჭეშმარიტი მამულიშვილი, მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე

## თამაზ ბაციკაძე — 80



**2024 წლის 10 ოქტომბერს დაბადებიდან 80 და სამეცნიერო, პედაგოგიური, საზოგადოებრივი მოღვაწეობის 57 წელი შეუსრულდა ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, სახელმწიფო პრემიის ლაურეატს, ბატონ თამაზ ბაციკაძეს.**

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორმა, საერთაშორისო საინჟინრო აკადემიის ნამდვილმა წევრმა (აკადემიკოსმა), საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოს-მდივანმა, პრეზიდიუმის წევრმა, სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში, ღირსების მედლისა და ღირსების ორდენის კავალერმა, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის თანაშემწემ, ბატონმა თამაზ ბაციკაძემ უკვე მრავალი წელია საყოველთაო აღიარება ჰპოვა როგორც ქართველ, ასევე უცხოელ მეცნიერთა შორის.**

ბატონი თამაზ ბაციკაძე დაიბადა 1944 წლის 10 ოქტომბერს ქ. თბილისში. 1967წელს წარჩინებით დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობის სპეციალობით. 1967-1973 წლებში იყო საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მასალათა გამძლეობისა და დრეკადობის თეორიის კათედრის ასისტენტი. 1973 წლიდან, საკანდიდატო დისერტაციის დაცვის შემდგომ, ამავე კათედრის დოცენტია. 1977-78 წლებში ის პედაგოგიურ და სამეცნიერო საქმიანობას ეწეოდა საფრანგეთში პარიზის მეშვიდე უნივერსიტეტში, ხოლო 1990-91 წლებში მოღვაწეობდა აშშ-ში ვისკონზინის და მედისონის უნივერსიტეტებში. 1982-85 წლებში იყო საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, 1987-2005 წლებში – საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის პრორექტორი ჯერ დაუსწრებელი სწავლების, შემდეგ კაპიტალური მშენებლობისა და პერსპექტიული განვითარების დარგში. აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში აშენდა და ექსპლუატაციას გადაეცა: მეტალურგიის ფაკულტეტის სასწავლო-ლაბორატორიული კორპუსი, გეოლოგიური ფაკულტეტის სასწავლო ლაბორატორიული კორპუსის 1 რიგი, მუზეუმი, სპორტული დარბაზი, მიკროელექტრონიკის ცენტრის შენობა, სპორტული მოედნები, დახურული საცურაო აუზი, საცხოვრებელი სახლები თანამშრომლებისთვის, სტუდენტთა საერთო საცხოვრებელი ნუცუბიძის პლატოზე, სპორტულ-გამაჯანსაღებელი ბაზა დაბა ლესელიძეში და სხვა. შეიქმნა ექსპერიმენტული სამშენებლო-სასწავლო სამმართველო, სადაც სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებს ძირითადად სამშენებლო და მონათესავე ფაკულტეტების სტუდენტები ასრულებდნენ.

1998 წელს პროფესორ თ. ბაციკაძეს მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო პრემია მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში.

ბატონმა თ. ბაციკაძემ 1998 წელს წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და მიენიჭა ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი და პროფესორის წოდება. 1997-1999 წლებში იგი შეთავსებით ხელმძღვანელობდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „სამშენებლო მექანიკის“ კათედრას. 1999 წელს აირჩიეს საქართველოს საინჟინრო აკადემიის განყოფილების გამგედ და პრეზიდიუმის წევრად.

2005-2009 წლებში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის სამშენებლო დეპარტამენტის უფროსი და მასალათა გამძლეობისა და დრეკადობის თეორიის კათედრის სრული პროფესორია. 2006-2016 წლებში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრია. 2009 წლიდან 2022 წლამდე იყო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პერსპექტიული განვითარების სამსახურისა და საინჟინრო მექანიკის დეპარტამენტის უფროსი. 2022 წლიდან დღემდე ხელმძღვანელობს სამშენებლო ფაკულტეტის მშენებლობის სასწავლო, სამეცნიერო, საექსპერტო, საგამოცდო ლაბორატორიას.

პროფესორი თამაზ ბაციკაძე 2021 წლის აგვისტოდან არის საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის თანაშემწე საერთო საკითხებში (საერთაშორისო ურთიერთობები, პროგრამები და საგრანტო პროექტების მიმართულებები).

ბატონი თამაზი 2010 წლიდან დღემდე არის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს წევრი, სამეცნიერო შრომათა კრებულის სარედაქციო კოლეგიის წევრი, ევროკავშირის მეცნიერებებისა და განათლების განვითარების შეფასების ჟიურის წევრი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ტექნიკური ჟურნალის „მშენებლობა“ სარედაქციო კოლეგიის თავჯდომარის მოადგილე. მისი სამეცნიერო მიმართულებაა მყარი დეფორმადი სხეულების მექანიკა. მიღებული აქვს მნიშვნელოვანი შედეგები ფილების და გარსების პლასტიკური დეფორმაციების და მზიდუნარიანობის პრობლემების გადაწყვეტაში.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ბატონი თამაზის ღრმა ფილოსოფიური ნაშრომები, რომელთა შორისაა: „რას ვაკეთებთ „სიკვდილის“ შემდეგ“; „როგორ დავრწმუნდეთ სულის უკვდავებაში“; „ვინ ვართ და სად ვიმყოფებით გარდაცვალების შემდეგ“ და სხვა.

პროფესორი თ. ბაციკაძე არის საქართველოს მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი. დაჯილდოებულია ღირსების მედლით (1998 წ), ღირსების ორდენით (2003 წ). არის 200-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. გამოცემული აქვს 11 სახელმძღვანელო, მათ შორის ფრანგულ და რუსულ ენებზე, აგრეთვე 4 მონოგრაფია და მეთოდური ხასიათის ნაშრომები. სახელმძღვანელოებს მინიჭებული აქვთ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს გრიფი და რეკომენდირებულია ყველა ტექნიკური პროფილის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის.

**ბატონო თამაზ, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია გულითადად გილოცავთ თქვენ, ღირსეულ მამულიშვილს, აღიარებულ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს, შესანიშნავ მეუღლეს, მამასა და ბაბუას დაბადების მე-80, სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 57-ე წლისთავს. გისურვებთ ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს, ნაყოფიერ სამეცნიერო-პედაგოგიურ და საზოგადოებრივ საქმიანობას ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.**

**საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია**

# ონის ბულვარში „ბუბას“ ვარსკვლავი გაიხსნება




**19 ოქტომბერს ონის მუნიციპალიტეტის ქალაქ ონში, გიგა ჯაფარიძის სახელობის ბულვარში, ფოლკლორულ ანსამბლ „ბუბას“ სახელობითი ვარსკვლავი გაიხსნება. ამის შესახებ ინფორმაციას ონის მერია ავრცელებს.**

„ანსამბლის ისტორია 1946 წლიდან იღებს სათავეს და უკავშირდება 1946 წელს ივანე გუტაშვილის მიერ, სოფელ გლოლაში შექმნილ მომღერალთა გუნდს, რომელიც წარმატებით გამოდიოდა ადგილობრივ დათვალიერებებში. ივანე გუტაშვილი განთქმული იყო როგორც საუკეთესო მომღერალი და ჭიანურზე დაკვრის უბადლო ოსტატი.

1965 წლიდან 1988 წლამდე ანსამბლს ხელმძღვანელობდნენ ფოლკლორის მოამაგენი ეთერ ბიძიშვილი და თამარ სულთანიშვილი.

1980 წელს ფოლკლორულ ანსამბლს ეწოდა „ბუბა“, სადაც 30 წევრი იყო გაერთიანებული, 1988 წლიდან 2000 წლამდე ანსამბლის ხელმძღვანელები იყვნენ გენადი სულთანიშვილი და ინეზა ნიჟარაძე, ხოლო 2000 წლიდან დღემდე მისი უცვლელი ხელმძღვანელია ქალბატონი ლალი მარგიანი-ხარებაშვილი.

დღეისათვის ანსამბლში გაერთიანებულია 8 წევრი.

ანსამბლის უხუცესმა წევრმა, ქალბატონმა მარიამ ბაკურაძემ, რომელიც დაარსების დღიდან გარდაცვალებამდე თავდადებით მოღვაწეობდა ანსამბლ „ბუბა“-ში, დიდი ამაგი დასდო ანსამბლის რეპერტუარის მრავალფეროვნებას როგორც მთის სასიმღერო, ასევე საცეკვაო-საფერხულო ნიმუშების, მათ შორის „ბერქალურის“, შემონახვისა და პოპულარიზაციის საქმეში.

დღეს ცეკვა „ბერქალური“, ასევე ფერხულები განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს.

მნიშვნელოვანია ხაზგასმით ითქვას, რომ გარმონი – წიკო-წიკო, რომლის უბადლო შემსრულებელი ქალბატონი ლალი მარგიანია და რომელზედაც ცეკვა „ბერქალური“ დღესაც წარმატებით სრულდება, 120 წლისაა.

2011 წელს ფოლკლორულმა ანსამბლმა „ბუბამ“ წარმატებით გაიარა საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის მიერ დაგეგმილი ქართული ხალხური სიმღერის ანსამბლების სერტიფიცირება.

აღსანიშნავია, რომ ანსამბლი აქტიურად იღებდა მონაწილეობას საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის მიერ მოწყობილ ექსპედიციებში, რომლის ნიმუშებიც ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის არქივში ინახება.

ბუბის მთის მიდამოებში დღესაცაა შემორჩენილი საცხოვრებელი სახლებისა და კოშკების ნაშთები. სოფელ გლოლაში, მას დღესაც ბუბის წმინდა გიორგის სალოცავს უწოდებენ და სწორედ აქედან დაიბადა ფოლკლორული ანსამბლის სახელწოდება „ბუბა“: „ბუბავ პირი ბროლს მიგიგავს, საყევარი დანის ტარსა“, ამბობს სიმღერა.

ფოლკლორულ ანსამბლს მნიშვნელოვანი წარმატებები აქვს მოპოვებული ქვეყნის მასშტაბით 2005–2006 წლებში.

ანსამბლმა მონაწილეობა მიიღო ეროვნულ დათვალიერება-ფესტივალში, სადაც გახდა კიდეც ფესტივალის ლაურეატი.

ანსამბლის მთავარი მიზანია, იკვლიოს და მომავალ თაობებს შეუნარჩუნოს ზემო რაჭის ამოუწურავი ფოლკლორის მარგალიტები, რასაც წარმატებით და ღირსეულად ახორციელებს დღემდე.

# წალენჯიხის ფერისცვალების ტაძრის განახლება დასრულდა

**წალენჯიხის ლევან II დადიანის საფლავის ქვის და აკლდამის სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულებულია. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, ამასთან ერთად, აღდგა ფერისცვალების ტაძარზე მეხის დაცემის შედეგად გუმბათის დაზიანებული ნაწილები.**

სააგენტოს ზედამხედველობითა და სპეციალისტების ჩართულობით დასრულდა მაცხოვრის ფერისცვალების საკათედრო ტაძარში განთავსებული სამეგრელოს მთავრის ლევან II დადიანისა და მისი მეუღლის, დედოფალ ნესტან-დარეჯანის, განსასვენებელი აკლდამის ქვის რესტავრაცია.

სარესტავრაციო სამუშაოები ორ ეტაპად მიმდინარეობდა.

სპეციალისტების ზედამხედველობით განხორციელდა ფერისცვალების ტაძრის გუმბათზე მეხის დაცემის შედეგად დაზიანებული მონაკვეთების სარეაბილიტაციო სამუშაოები: მოეწყო არაინვენტარული ხარაჩო ტაძრის ჩრდილოეთ ფასადსა და გუმბათის ყელზე, გუმბათის დაზიანებული მონაკვეთის ირგვლივ მოიხსნა მორყეული ქვები, ბზარები გასუფთავდა და შეივსო პოლიმერცემენტის ხსნარით, ადგილზე დაბრუნდა მოხსნილი ქვები, ხოლო დაზიანებული ნაწილი ახლით ჩანაცვლდა.



სარეაბილიტაციო სამუშაოები შესრულდა შპს „კირითხუროს“ მიერ, რისთვისაც სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ 7 912 ლარი გამოყო.

ქალაქ წალენჯიხის მაცხოვრის ფერისცვალების საკათედრო ტაძარი იყო ოდიშის სამთავროს საეკლესიო და კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი, დადიანთა საძვალე, XVII საუკუნის განმავლობაში წარმოადგენდა ეპარქიის ცენტრს.

ლევან II დადიანის აკლდამის, საფლავის ქვის რესტავრაცია და ქვის წარწერის შენარჩუნება 2023 წლის დეკემბერში წალენჯიხაში საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრის თეა წულუკიანის ვიზიტისას ადგილობრივ სასულიერო პირებთან კონსულტაციის შედეგად გადაწყდა. აღსანიშნავია, რომ 2016 წელს ფონდ „ქართუს“ დაფინანსებით გამაგრდა ტაძრის საძირკველი და მოეწყო სადრენაჟო სისტემა.

# როდემდე აბურთავებს პუტინი ლიბერასტულ სამყაროს?!



**რუსეთმა ბირთვული დოქტრინა შეცვალა, რამაც მსოფლიო დონის დისკუსია გამოიწვია. ბირთვული დოქტრინა ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის განუყოფელი ნაწილია, რომლის მიხედვით, სახელმწიფო განსაზღვრავს, რა მიზეზითა და როგორ შეუძლია ბირთვული იარაღის გამოყენება. ასეთი დოქტრინა ბირთვული იარაღის მფლობელ ყველა ქვეყანას აქვს.**

რა წერია რუსეთის ახალ ბირთვულ დოქტრინაში და რა იცვლება ამით? დოკუმენტის მიხედვით, რუსეთი აფართოებს მისდამი მტრულად განწყობილი ქვეყნების სიას, რომელთა მიმართ ის ბირთვული შეკავების სტრატეგიას მიმართავს. რუსეთის ტერიტორიის მიმართულებით, ნებისმიერი ქვეყნიდან, რაკეტების, საბრძოლო თვითმფრინავებისა და დრონების მასიური გაშვება აღიქმება, როგორც კრიტიკული საფრთხე ქვეყნის სუვერენიტეტის მიმართ. საპასუხოდ, რუსეთი ბირთვულ იარაღს გამოიყენებს. მთავარი ცვლილება დოქტრინაში ასე იკითხება: ნებისმიერი არაბირთვული სახელმწიფოს მხრიდან რუსეთის წინააღმდეგ აგრესია, რომელშიც ბირთვული სახელმწიფო მონაწილეობს, განიხილება, როგორც მათი ერთობლივი თავდასხმა რუსეთზე. ასევე, რუსეთი ბირთვულ იარაღს გამოიყენებს ბელარუსის წინააღმდეგ აგრესიის შემთხვევაშიც.

რუსეთის პრეზიდენტის თქმით, ბირთვული ტრიადა რუსეთისა და მისი მოქალაქეების უსაფრთხოების ყველაზე მნიშვნელოვან გარანტად, და მსოფლიოში სტრატეგიული პარიტეტისა და ძალთა ბალანსის შენარჩუნების ინსტრუმენტად რჩება. ბირთვული ტრიადა იმ ბირთვულ არსენალს ნიშნავს, რომელიც სამი კომპონენტისგან შედგება: **საჰაერო-სტრატეგიული ბომბდამშენები, სახმელეთო-კონტინენტთაშორისი ბალისტიკური რაკეტები და საზღვაო-ბალისტიკური რაკეტებით აღჭურვილი წყალქვეშა ნავები.** ბირთვული ტრიადის მიზანი იმ ალბათობის შემცირებაა, რომ პირველი დარტყმის განხორციელების შემთხვევაში, ქვეყანამ მოწინააღმდეგის ბირთვული ძალების სრული განადგურება შეძლოს და, შედეგად, კონტრბირთვული შეტევის განხორციელება უზრუნველყოს. აქამდე, რუსეთის ბირთვული დოქტრინა მხოლოდ მაშინ იძლეოდა ბირთვული იარაღის გამოყენების საშუალებას, როცა ქვეყანას ბირთვული ან მასობრივი განადგურების რომელიმე სხვა იარაღით დაესხმებოდნენ თავს, ან თუ ქვეყნის არსებობა დადგებოდა საფრთხის წინაშე. რუსეთის პრეზიდენტის პრეს-სპიკერმა დიმიტრი პესკოვმა ასე განმარტა ბირთვულ დოქტრინაში ცვლილების შეტანის აუცილებლობა: ჩვენს საზღვრებთან გამწვავებულია დაძაბულობა; დასავლეთის ქვეყნები, მათ შორის, ბირთვული სახელმწიფოები, ფაქტობრივად, ჩაბმულია უკრაინის ომში; ნატო კი, აგრესიულ ძალად იქცა; ცვლილება წარმოადგენს რუსეთის პასუხს დასავლეთის მცდელობაზე, გაამწვავოს უკრაინის კონფლიქტი. პესკოვმა დასავლეთის მიერ უკრაინისთვის შორი მანძილის რაკეტების გამოყენებაზე თანხმობის მიცემა იგულისხმა. უკრაინა უკვე კარგა ხანია, დასავლეთს ეხვეწება, შეზღუდვები გააუქმოს მათ მიერ მიწოდებული რაკეტების გამოყენებაზე, რათა კიევმა რუსული იარაღის საცავებისა და სხვა სამხედრო სამიზნეების განადგურება შეძლოს. ამერიკა და ინგლისი ამ საკითხში დიდ სიფრთხილეს იჩენენ, რადგან არსებობს კონფლიქტის ნატო-რუსეთის ცხელ დაპირისპირებაში გადაზრდის საფრთხე. დასავლეთი, რუსეთთან საბრძოლველად, უკრაინისგან განსხვავებულ სტრატეგიას იყენებს. ის ნელ-ნელა და პატარ-პატარა ნაბიჯებით კვეთს წითელ ხაზებს, რითაც ცდილობს, რუსეთი მთლად არ გააგიჟოს და, ამასობაში, უკრაინას დაეხმაროს. ცხადია, უკრაინას, დასავლეთის დახმარებით, შეტევაზე გადასვლა და ომის დამთავრება სურს, მაგრამ დასავლეთი ასეთი სტრატეგიის განხორციელების კატეგორიული წინააღმდეგია. მეორე მხრივ, რუსეთი კონფლიქტის დაწყების პირველივე დღიდან ბირთვული იარაღით შანტაჟს მიმართავს. დასავლეთი უკვე მიეჩვია პუტინის ასეთ აგრესიულ რიტორიკას. უმრავლესობას არ სჯერა, რომ რუსეთი ბირთვულ იარაღს გამოიყენებს, რადგან ამით ჩინეთსა და სხვა ქვეყნებს გადაიმტერებს. და, რაც მთავარია, ბირთვული იარაღის გამოყენებით ყველა ერთნაირად დაზარალდება.



# ილონ მასკსა და პაველ დუროვს ემუქრებიან!

**თანამედროვე სამყარო წარმოუდგენელია სოციალური მედიის გარეშე. მსოფლიოს რვა მილიარდიანი მოსახლეობიდან, ხუთი-მილარდი სოციალური ქსელების აქტიური მომხმარებელია. დამეთანხმებით, ციფრი შთამბეჭდავია. სოცმედიის კოლოსალური გავლენა ჩვენს ცხოვრებაზე აშკარაა, მაგრამ, როგორც იტყვიან, მედალს ორი მხარე აქვს: ერთი მხრივ, სოციალურმა ქსელებმა ადამიანები ერთმანეთს დააკავშირა და სხვადასხვა სახის ინფორმაცია ხელმისაწვდომი გახადა. მეორე მხრივ კი, სოციალური ქსელები ეგრეთწოდებული ფეიკ-ნიუსებითა და ძალადობრივი რიტორიკით გადაიტვირთა.**

მდგომარეობის გასაკონტროლებლად, ბევრ ქვეყანაში, მარეგულირებელი კანონები შემოიღეს, მაგრამ, ისიც სათქმელია, რომ, ხშირად, ორმაგი სტანდარტი გამოიყენება. მაგალითად, როცა სოცმედიაში ატვირთული ამბები და აზრები რომელიმე ქვეყანას არ მოსწონს, ინფორმაცია იბლოკება, მაგრამ თუ იგივე ქვეყნისთვის, გავრცელებული ინფორმაცია მისაღებია, მაგრამ სხვა ქვეყნის მიერ იბლოკება, ეს სიტყვის თავისუფლების დარღვევად ინათლება. აქ, ჭეშმარიტების გარკვევა პრაქტიკულად შეუძლებელია. ყველა ქვეყანას და სოციალურ ქსელს თავისი არგუმენტი აქვს. კამათი თემაზე გრძელდება და ის წინა პლანზეა მსოფლიო მასშტაბით.

მაგალითისთვის ავიღოთ TELEGRAM-ის შემქმნელის **პაველ დუროვის** დაკავების ამბავი. შეგახსენებთ, დუროვი მიმდინარე წლის აგვისტოში პარიზში საფრანგეთის სამართალდამცველებმა დააკავეს და ბრალად დასდეს, რომ მისი სოციალური მედიით ნარკორეალიზაციისა და პედოფილიის შესახებ ვრცელდება მასალები. მოგვიანებით, კიდევ ერთი ამბავი მოხდა, რომელიც ილონ მასკსა და მის სოციალურ პლატფორმას X-ის ეხება. ეს ტუიტერის ახალი სახელია. ილონ მასკმა გადაარქვა, როცა კომპანია შეისყიდა.

მოკლედ, ბრაზილიის უზენაესმა სასამართლომ თავის ქვეყანაში ამ სოცმედიის დაბლოკვა გადაწყვიტა. სასამართლო დავა, რომელიც ბრაზილიის სახელმწიფოსა და ილონ-მასკის სოციალურ ქსელს შორის მიმდინარეობს, დიდი ხანია, გრძელდება და ის ორი ადამიანის, ილონ მასკისა და ბრაზილიის უზენაესი სასამართლოს მოსამართლის, ალექსანდრ დე მორაეშის პირად დაპირისპირებას ჰგავს. დავამ რამდენიმე ფაზა გაიარა, მაგრამ იმის შემდეგ გამწვავდა, რაც ილონ მასკმა ბრაზილიაში ცნობილი და ოპოზიციურად განწყობილი რამდენიმე კონკრეტული პირის ანგარიშების დაბლოკვაზე უარი განაცხადა. ალექსანდრ დე მორაეშსა და ილონ მასკს შორის დაპირისპირებამ პიკს მაშინ მიაღწია, როცა მოსამართლემ ილონ მასკის წინააღმდეგ გამოძიება დაიწყო. სასამართლოს ეს გადაწყვეტილება ილონ მასკმა გააპროტესტა. მან ბრაზილიის ხელმძღვანელობა სიტყვის თავისუფლების შეზღუდვაში დაადანაშაულა. ცხადია, ბრაზილიის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით უკმაყოფილო დარჩნენ ამ სოცმედიის ბრაზილიელი მომხმარებლები.

ილონ მასკის თქმით, ბრაზილიაში მის სოციალურ პლატფორმას 22 მილიონი მომხმარებელი ჰყავდა, და მათი აზრის უგულებელყოფა ანტი დემოკრატიულია. უკვე **კარგა ხანია, რაც ილონ მასკი და პაველ დუროვი ლიბერალების სამიზნედ იქცნენ. ილონ მასკს მისი კონსერვატული მსოფლმხედველობისა და დონალდ ტრამპის მხარდაჭერის გამო აკრიტიკებენ. პაველ დუროვს კი, წარსულში რუსეთის მთავრობასთან თანამშრომლობას არ პატიობენ.** უკრაინის პრეზიდენტმა უკვე განაცხადა, რომ ტელეგრამს რუსეთის სპეც-სამსახურები აკონტროლებენ და მისი აკრძალვა მოითხოვა. დასავლეთის კონსერვატული ძალები სახელმწიფოთა ასეთ ჩარევას აპროტესტებენ. მათი აზრით, ლიბერალურ ელიტას კონსერვატული იდეების გამავრცელებელი სოციალური ქსელების ჩახშობა სურს. ერთი სიტყვით, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ სოციალური ქსელების რეგულირების საკითხზე კამათი კიდევ დიდხანს გაგრძელდება...



**ნუგზარ ბ. რუხაძე**
POSTV

# ოსამა ბინ ლადენის ვაჟი ტერორიზმის განდიდების ბრალდებით საფრანგეთიდან გააძევეს

**ტერორისტული დაჯგუფება „ალ-ქაიდას“ დამფუძნებლის ოსამა ბინ ლადენის შვილი, ომარ ბინ ლადენი საფრანგეთიდან გააძევეს. ინფორმაციას ამის შესახებ „როიტერი“ ავრცელებს.**

გამოცემის ცნობით, გაძევების მიზეზი ომარ ბინ ლადენის მიერ სოციალურ ქსელებში გამოქვეყნებული კომენტარები გახდა, რომლებიც ტერორიზმის განდიდების ელემენტებს შეიცავდა.

საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა ბრუნო რეტაიომ ხელი მოაწერა ბრძანებას, რომელიც ბინ ლადენის შვილს ქვეყანაში შესვლას უკრძალავს. მან ასევე აღნიშნა, რომ ომარ ბინ ლადენი უკვე დეპორტირებულია, თუმცა დეტალები იმის შესახებ, თუ სად გააგზავნეს იგი, საფრანგეთის შსს-ს ხელმძღვანელს არ დაუზუსტებია.



„ბატონმა ბინ ლადენმა, რომელიც რამდენიმე წლის განმავლობაში ცხოვრობდა ორნის რეგიონში, როგორც ბრიტანელი მოქალაქის მეუღლე, 2023 წელს თავის სოციალურ ქსელებში გამოაქვეყნა ტერორიზმის განდიდების შემცველი კომენტარები. ადმინისტრაციული აკრძალვა უზრუნველყოფს, რომ ბატონი ბინ ლადენი ვერანაირი მიზეზით ვერ დაბრუნდება საფრანგეთში“, – დაწერა რეტაიომ სოციალურ ქსელში.

ომარ ბინ ლადენი მრავალი წლის განმავლობაში ცხოვრობდა ნორმანდიის ერთ-ერთ სოფელში და პეიზაჟებს ხატავდა. ადგილობრივი მედიის ცნობით, ომარ ბინ ლადენმა საფრანგეთის ხელისუფლების ყურადღება მაშინ მიიქცია, როდესაც მამამისის დაბადების დღეს სოციალურ ქსელში ჩანაწერი გამოაქვეყნა. როგორც „როიტერი“ წერს, მათ ვერ მოახერხეს სოციალურ ქსელში ნახსენები ჩანაწერის მოძიება.

# დიდმა ბრიტანეთმა რუსეთის წინააღმდეგ სანქციების სია გააფართოვა

**ბრიტანეთის ხელისუფლებამ რუსეთის წინააღმდეგ სანქციების სია გააფართოვა და მასში რუსეთის ქიმიური თავდაცვის ქარხნის ხელმძღვანელი, გენერალ-ლეიტენანტი იგორ კირილოვი შეიყვანა.**

„ რუსეთის შეიარაღებული ძალების რადიოლოგიური, ქიმიური და ბიოლოგიური თავდაცვის ჯარები და მათი ლიდერი იგორ კირილოვი, რომელიც პასუხისმგებელია ამ ბარბაროსული იარაღის განლაგებაში დახმარებაზე, დაექვემდებარა სანქციებს. კირილოვი ასევე მნიშვნელოვანი ხმა იყო კრემლის დეზინფორმაციისთვის, რომელიც ავრცელებდა სიცრუეს რუსეთის სამარცხვინო და სახიფათო ქცევის გადასაფარად“, – ნათქვამია დიდი ბრიტანეთის მთავრობის განცხადებაში.

სანქციები დაუწესდა რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს 27-ე ცენტრალური კვლევით ინსტიტუტსა და რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს 33-ე ცენტრალურ კვლევით ინსტიტუტს.

◎ თაობა




# ბრინჯაოს თამაშა

**ხუთ ასაკობრივ კატეგორიაში სხვადასხვა ქვეყნის 120 გოგონა და ვაჟი მონაწილეობდა ბათუმში დამთავრებულ მაგიდის ჩოგბურთელთა მსოფლიოს ახალგაზრდული თასის გათამაშების მორიგ ეტაპზე.**

აღნიშნულ ტურნირებში წარმატებით განსაკუთრებით გამოირჩევიან აფხაზური კლუბის – დიოსკურიას წარმომადგენლები, რომელმაც, შესაბამისად, 2022 წელს 11-წლამდელებში (ბარბარე სიხარულიძე) და შარშან – 15-წლამდელებში (ანასტასია ჩხარტიშვილი) ბრინჯაო მოიპოვეს.

ამავე გუნდის წევრმა – **ელენე ქობალიამ** გვასახელა 11-წლამდელთა შორის ზღვისპირეთშიც და მანაც ბრინჯაოს მედალი მოიხვეჭა.

მსგავსი ასპარეზობების დებიუტანტმა ჯგუფში თურქი და ყაზახი მეტოქეები დაამარცხა, მაგრამ ნახევარფინალური ბრძოლა ამ უკანასკნელის თანამემამულესთან დათმო, რაც პრიზიოროზისთვის საკმარისი აღმოჩნდა.

◎ ეროვნული ლიგა

# ტრავმების ეპიდემია

**მოახლოვდა ერთა ლიგის ოქტომბრის რაუნდი, რომლის ფარგლებშიც „ბ“ დივიზიონის პირველი ჯგუფის ლიდერი საქართველოს ეროვნული ნაკრები ხვალ პოლონურ პოზნანში მოულოდნელ აუტსაიდერ უკრაინას შეხვდება, ხოლო 14-ში ალბანეთს მიიღებს.**

**სერგეი რებროვის** გუნდისთვის ეს გახლავთ უკანასკნელი შანსი პლეიოფის საგზურისთვის გასარბძოლებლად, მაგრამ გაჭირვებულს ქვა აღმართში მიეწიაოს მსგავსად, ნომინალურ მასპინძლებს ტრავმირებული ზინჩენკოს (არსენალი), მალინოვსკის (ჯენოა), ციგანკოვის (ჟირონა), მიკოლენკოს (ევერტონი) და სტეპანენკოს (შახტარი), ასევე მწვრთნელის მიერ შერისხული კაპიტნის – იარმოლენკოს (კიევის დინამო) სახით მთელი რიგი ვარსკვლავები დააკლდებათ.

ასეთი სოლიდური საკადრო პრობლემების მიუხედავად, დნეპრისპირელები მაინც მრისხანე მეტოქეებად უნდა მივიჩნიოთ, სადაც წამყვან პოზიციებზე სხვა გრანდების – რეალის, ბენფიკას, ჩელსის, რომასა და ოლიმპიაკოსის სოლისტები ბრწყინავენ.

მართალია, შედარებით უკეთესი ვითარებაა ალბენალთა ბანაკში, მაგრამ მანაის, ბროიას და უზუმისსახით წამყვანი თავდამსხმელები სილვინიოს განკარგულებაშიც არ იქნებიან. მიზეზი აქაც ლაზარეთის ბინადრობაა.

რაც შეეხება ჯვაროსნებს, მათმა თავკაცმა, აწ უკვე თბილისის საპატიო მოქალაქემ **ვილი სანიოლმა** და ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა **ალექსანდრე იაშვილმა** ტრადიციას არც ამჯერად უღალატეს და პრინციპული მატჩების წინ გამართულ პრესკონფერენციაზე ქომაგთათვის საინტერესო თემებზე ისაუბრეს.

როგორც გაირკვა, თამაშის შანსი ექნება გოგლიჩიძეს, კვარაცხელიას ფიზიკურ მომზადებასთან დაკავშირებული კითხვები კი ნაპოლიში კონტესთან მისი თანამშრომლობით უკვე ამოწურულია.

აქტუალურად გამოიყურება ირანში არსებული რთული პოლიტიკური ვითარების გამო გველესიანის მიერ სასაზღვრო პრობლემების დაძლევა, ხოლო აზაროვი სათამაშო პრაქტიკის დეფიციტის შესაბამისად ხვალ ახალგაზრდულ ნაკრებს დაეხმარება შვედეთში ყოფნა-არყოფნის ბრძოლაში.




შევიტყვეთ ისიც, რომ ფრანგი მწვრთნელისთვის კონტრაქტის გახანგრძლივების საკითხი დეკემბერში გადაწყდება, თუმცა წინასწარ ორივე მხარემ გამოთქვა თანამშრომლობის გაგრძელების სურვილი.

ზემოთ აზაროვი კი ვახსენეთ, მაგრამ სრული სურათის შესაქმნელად იმასაც გაუწყებთ, რომ **რამაზ სვანაძის** გაწვრთნილ ნაკრებს ლუკა გაგნიძე (გაფრთხილებები), საბა საზონოვი, გაბრიელ სიგუა და დავით ზურაბიანი (ტრავმები) ვერ დაეხმარებიან.

ცნობილი გახდა ისიც, რომ 37 წლის **გიორგი ჭელიძე** ორწლიანი პაუზის შემდეგ ბოლნისის სიონს მთავარ მწვრთნელად დაუბრუნდა, სადაც ადრე თამაშობდა კიდევაც.

ახალგაზრდა სპეციალისტი მანამდე შევარდენს, მეშახტეს, შუქურას, საბურთალოს მეორე გუნდს, თელავსა და სამგურალს ავარჯიშებდა, მისი ამჟამინდელი ამოცანა კი ქვემოქართლელთა უმაღლეს ლიგაში დაბრუნებაა. ამ ეტაპზე სიონი მეორე ეროვნულ ლიგაში მესამე ადგილზეა და 3 ქულით ჩამორჩება ლიდერს – გარეჯს.

და ბოლოს: გრძელდება შტურმის შარშანდელი ტრიუმფალური დუბლის მთავარი შემოქმედის **ოთარ კიტეიშვილის** აღიარების პროცესი. ავსტრიის ბუნდესლიგის მსგავსად, იგი განვლილი სეზონის საუკეთესო ფეხბურთელად მოთამაშეთა ასოციაციამაც დაასახელა.

**ვულოცავთ!**

◎ იმედი



# ძიუდო ჩვენია!

**ძიუდოისტთა ახალგაზრდულ მსოფლიოს ჩემპიონატს დუშანბემ უმასპინძლა, სადაც საქართველოს 13 წარგზავნილიდან, შარშანდელი ფორუმის მსგავსად, მედალი ორმა დაიმსახურა (მაშინ 17 მონაწილე გვყავდა).**

ტაჯიკურ ტატამზე განსაკუთრებით 18 წლის **ლუკა ჯავახიშვილმა** იყოჩაღა, რომელმაც საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე შეაბიჯა (81 კგ):

ლიეტუველი, რუსეთელი, ორი ადგილობრივი და ფინალში –ჩინელი მეტოქეები – ასეთი გახლდათ უმცროსი ჯვაროსნის მიერ ოქროსკენ გავლილი გზა. აღსანიშნავია, რომ სატიტულო ბრძოლაში მომავალმა ტრიუმფატორმა 1 წლით უფროს ცისქვეშეთის ქვეშევრდომს გაშვებული ვაზარის შემდეგ იპონით სძლია!

დავძენთ, რომ აზიური გამოცდა ასევე წარმატებით ჩააბარა **საბა ქარდავამ** (100 კგ), რომელიც სამშობლოში ბრინჯაოთი დაბრუნდა.

# განცხადება

## საჯარო განხილვის შესახებ

**გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვა - ა(ა)იპ „მიუსაფარი შინაური ცხოველების მართვის შიდა ქართლის ინტერმუნიციპალური სააგენტოს" მიერ მიუსაფარი შინაური ცხოველების მართვის ობიექტზე სახიფათო ნარჩენების ინსინერაციის და ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობების ექსპლუატაცია**

**გადაწყვეტილების მიმღები უფლებამოსილი ორგანოა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო. საჯარო განხილვის ორგანიზატორია სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი.**

დაგეგმილი საქმიანობის გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვის დრო და ადგილი: **2024 წლის 20 ნოემბერს, 12:00 საათზე, გორის მუნიციპალიტეტის მერიის შენობაში და (მის.: გრიგოლ ფერაძის N 5) 2024 წლის 20 ნოემბერს, 16:00 საათზე, გორის მუნიციპალიტეტის სოფ. ოთარშენის საჯარო სკოლის შენობაში**

საჯარო განხილვა ღიაა. მონაწილეობის, შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს. წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ გაუგზავნოთ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს **2024 წლის 5 დეკემბრის ჩათვლით** მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი N150 ან ელფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გამოგზავნისას მიუთითოთ ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს). მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაბეჭდი/მატერიალური ვერსიის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. საჯარო განხილვასთან დაკავშირებით მიმართეთ ცენტრს (ტელ: 0322 112023, ელფოსტა: ph@eiec.gov.ge, მის: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N32გ).

**განცხადების რეგისტრაციის თარიღი: 2024 წლის 2 ოქტომბერი.** განცხადების რეგისტრაციიდან არაუადრეს 51-ე დღისა და არაუგვიანეს 55-ე დღისა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო გასცემს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას.

# განცხადება

## საჯარო განხილვის შესახებ

**სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა - შპს „ჯეოკრაფტის" 72 მგვტ სიმძლავრის „ზესტაფონის" ქარის ელექტროსადგურის, 110 კვ ძაბვის ქვესადგურის და ქარის ტურბინების ქვესადგურთან დამაკავშირებელი 35 კვ ძაბვის მიწისქვეშა ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტი**

დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის დრო და ადგილი: **2024 წლის 29 ოქტომბერი, 13:00 საათი, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფ. ბოსლევის საჯარო სკოლის შენობა**

**გადაწყვეტილების მიმღები უფლებამოსილი ორგანოა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო. საჯარო განხილვის ორგანიზატორია სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი.**

საჯარო განხილვა ღიაა. მონაწილეობის, შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს. წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ გაუგზავნოთ **სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს 2024 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით მისამართზე:** ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი N150 ან ელფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გამოგზავნისას მიუთითოთ ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს). მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაბეჭდი/მატერიალური ვერსიის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. საჯარო განხილვასთან დაკავშირებით მიმართეთ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს (ტელ: 0322 112023, ელფოსტა: ph@eiec.gov.ge, მის: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N32გ).

**განცხადების რეგისტრაციის თარიღი: 2024 წლის 2 ოქტომბერი.** განცხადების რეგისტრაციიდან არაუადრეს 26-ე და არაუგვიანეს 30-ე დღისა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო გასცემს სკოპინგის დასკვნას.

# განცხადება

## აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[I]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი" კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის" განცხადების საფუძველზე ატარებს მესამე აუქციონს გოჩა ფერაძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** გოჩა ფერაძე (პ/ნ 18001001453), ზესტაფონი, ს. მარტოთუბანი

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**

გარდაბანი, ყოფილი წყალკანალის მიმდებარე ტერიტორია (საკადასტრო კოდი: 81.15.01.563)

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

**2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 2500 ლარი.

**3. აუქციონის დაწყების თარიღი:** 2024 წლის 10 ოქტომბერი, 14:00 საათი.

**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2024 წლის 24 ოქტომბერი, 14:00 საათი.

**5. აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

**5.1. ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP102437724;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 1024377

**6. მოვალე:** გოჩა ფერაძე (პ/ნ 18001001453), ზესტაფონი, ს. მარტოთუბანი

**7. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი" (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

**8. აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი".
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის" საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი", ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

**9. აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP102437724; ლოტის ნომერი: 1024377).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2024 წლის 24 ოქტომბრის 12:00 საათამდე.

# ღვაწლმოსილი მეცნიერი, ეკონომისტი

## პაატა კოღუაშვილი



საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი მეცნიერი, პედაგოგი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, (აკადემიკოსი), ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი პაატა კოღუაშვილი.

პაატა კოღუაშვილი დაიბადა ქ. ქუთაისში 1956 წლის 5 სექტემბერს. 1973-78 წლებში სწავლობდა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ეკონომიკის ფაკულტეტზე, ეკონომისტ-ორგანიზატორის სპეციალობაზე; 2003 წელს მან დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (კახეთის ფილიალი) იურიდიული ფაკულტეტი, იურისტის სპეციალობით.

ბატონი პაატა 1978-1988 წწ. იყო ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი, საქართველოს სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის მევენახეობისა და მეხილეობის მთავარი სამმართველოს წამყვანი ეკონომისტი, მთავარი ეკონომისტი; 1989 წლიდან – საქართველოს კოლმეურნეობათა საბჭოს გლეხურ (ფერმერულ) მეურნეობათა სექტორის უფროსი; 1990-1991 წლებში საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი, საარჩევნო ბლოკი: „საქართველოს სახალხო ფრონტი", საარჩევნო ფორმა მაჟორიტარული, მაჟორიტარი დეპუტატი ადიგენის საარჩევნო ოლქიდან; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი); 1992-1995 წლებში იყო საქართველოს მიწის რესურსებისა და მიწის რეფორმის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე აგრარულ საკითხებში; 1992-1995 წლებში საქართველოს მე-2 მოწვევის პარლამენტის წევრი, საარჩევნო ბლოკი: „11 ოქტომბერი" – „საქართველოს სახალხო ფრონტი", საარჩევნო ფორმა: პროპორციული წესით, №5 მრავალმანდატიანი საარჩევნო ოლქიდან. 1995 წლის აგვისტოში ხელი აქვს მოწერილი საქართველოს კონსტიტუციაზე.

პროფესორი პ. კოღუაშვილი 1996-2003 წწ. გახლდათ სახელმწიფო კანცელარიაში, მთავარი სახელმწიფო მრჩეველი აგრარული რეფორმის საკითხებში. 2003 წლიდან საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკუტეტზე კითხულობდა ლექციებს ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის საკითხებზე, იყო სადოქტორო-საგანმანათლებლო პროგრამა „აგრარული ეკონომიკის" ხელმძღვანელი.

ბატონი პაატა კოღუაშვილი გახლდათ 300 სამეცნიერო შრომისა და სტატიის ავტორი – აგროეკონომიკურ, სასურსათო უსაფრთხოების, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის, მიწისა და სოფლის განვითარების პოლიტიკის პრობლემებზე; 70-ზე მეტი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მონაწილე-მომხსენებელი; მრავალი სახელმძღვანელოს რედაქტორი, მონოგრაფიებისა და სამეცნიერო ჟურნალების სარედაქციო საბჭოს წევრი. მიღებული აქვს საქართველოს საუკეთესო მეცნიერის წოდება აგრარული ეკონომიკის დარგში (2014 წ).

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის პაატა კოღუაშვილის სახით ქართულმა აგრარულმა მეცნიერებამ დაკარგა ღვაწლმოსილი მამულიშვილი, მეცნიერი და პედაგოგი, რომლის სახელი სამუდამოდ დარჩება მისი მეგობრების, კოლეგებისა და მოწაფეების ხსოვნაში.

**საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია**



## პაატა კოღუაშვილი

**გარდაიცვალა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, ეკონომისტი, პოლიტიკოსი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მრავალი სამეცნიერო ნაშრომის, მონოგრაფიის ავტორი, აკადემიკოსი პაატა კოღუაშვილი.**

პაატა კოღუაშვილი დაიბადა 1956 წლის 5 სექტემბერს ქ. ქუთაისში.

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ეკონომიკის ფაკულტეტზე, 1978 წელს დაამთავრა ინსტიტუტი ეკონომისტ-ორგანიზატორის კვალიფიკაციით. 2003 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი.

1978-1988 წწ. იყო ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი, საქართველოს სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის მევენახეობისა და მეხილეობის მთავარი სამმართველოს წამყვანი ეკონომისტი, მთავარი ეკონომისტი; 1989 წლიდან – საქართველოს კოლმეურნეობათა საბჭოს გლეხურ (ფერმერულ) მეურნეობათა სექტორის უფროსი.

**პაატა კოღუაშვილი** სხვადასხვა დროს იყო პირველი მოწვევის საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრი (1990-1991), აგრარული რეფორმის ქვეკომისიის თავმჯდომარე, სახელმწიფო საბჭოს წევრი, პრემიერ-მინისტრის მოადგილე აგრარულ საკითხებში (1992). მე-3 მოწვევის საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის წევრი (1992-1995), საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე. მას 1991 წლის 9 აპრილს ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე, ხოლო 1995 წლის აგვისტოში – საქართველოს კონსტიტუციაზე.

პაატა კოღუაშვილი ეწეოდა სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას. მრავალი წლის განმავლობაში მოღვაწეობდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტზე.

აკადემიკოსი პაატა კოღუაშვილი 70-ზე მეტი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მონაწილე-მომხსენებელი და 300-მდე სამეცნიერო შრომისა და სტატიის ავტორია – აგროეკონომიკურ, სასურსათო უშიშროების, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის, მიწისა და სოფლის განვითარების პოლიტიკის პრობლემებზე.

1995 წელს საზოგადოებრივი მოღვაწეობისთვის მიენიჭა აკაკი წერეთლის პრემია, 2014 წელს აღიარეს წლის საუკეთესო მეცნიერად აგრარული სფეროს ეკონომიკის დარგში, 2017 წ. დაჯილდოვდა საპატიო სიგელით აგრარული ეკონომიკის დარგის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის, 2017 – იუნესკოს მიერ დაწესებულ მეცნიერების მსოფლიო დღესთან დაკავშირებით, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის გადაწყვეტილებით დაჯილდოვდა საპატიო სიგელით.

დაჯილდოებული იყო ღირსების ორდენით.

ბატონი პაატას სახელმძღვანელოებზე მრავალი თაობა აღიზარდა. მისი სამეცნიერო ნაშრომები, აგრარული ეკონომიკის მიმართულებით, დარგის მეცნიერთა და სპეციალისტთა სამაგიდო წიგნებია. მისი მოწაფეები დღეს აღიარებული მეცნიერები და სპეციალისტები არიან.

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს პაატა კოღუაშვილის გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს, ახლობლებსა და კოლეგებს!**

**უფალმა დაუმკვიდროს სასუფეველი და მსუბუქი ყოფილიყოს მისთვის ქართული მიწა!**

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი**

## პაატა კოღუაშვილი

მწუხარებას გამოვთქვამთ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, აკადემიკოს **პაატა კოღუაშვილის** გარდაცვალების გამო. სამძიმარს ვუცხადებთ ოჯახის წევრებს, კოლეგებს და მეგობრებს. ბატონი პაატას ბიოგრაფიის შემადგენელი ნაწილია როგორც სამეცნიერო, ასევე პედაგოგიური და პოლიტიკური მოღვაწეობა. პაატა კოღუაშვილი ავტორია 300 სამეცნიერო შრომისა და სტატიის აგროეკონომიკურ, სასურსათო უსაფრთხოების, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის, მიწისა და სოფლის განვითარების პოლიტიკის პრობლემებზე. პაატა კოღუაშვილი არაერთ საპასუხისმგებლო პოზიციაზე მუშაობდა. მან საკუთარი წვლილი შეიტანა აგრარული დარგის რეფორმირების საკითხში. მისი სახელმძღვანელოები და აგრარული ეკონომიკის მიმართულების სამეცნიერო ნაშრომები მომავალი თაობებისთვის ფასეული დანატოვარია.

**საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო**

გივი და ნინო თალაკვაძეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან ოჯახის ახლობლის, აღიარებული ქართველი მეცნიერის, ღირსეული პიროვნების

**პაატა კოღუაშვილის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

თბილისში მცხოვრები ფოთელების საზოგადოება ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, ბრწყინვალე პროფესიონალი, უიშვიათესი პიროვნული თვისებებით შემკული ადამიანი, უღალატო მეგობარი, ნაღდი მამულიშვილი



**თენგიზ უჩანეიშვილი**

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს და ახლობლებს.

საზოგადოების სახელით – **გივი აბდუშელიშვილი, სპარტაკ გოგინავა, მერაბ ზამბახიძე, პეტრე ბერაია, იური ალანია, ჯემალ კვირტია, გულთაზ ლაბარტყავა, გია სვანიძე, ჯიმი ქვარცხავა, ვახტანგ ჩიქოვანი.**

## გარდაიცვალა ვლადიმერ ქუმარიტაშვილი

### საციგაო სპორტის ფედერაციის პრეზიდენტი



**„საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს საქართველოს საციგაო სპორტის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტის ვლადიმერ ქუმარიტაშვილის გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს და ახლობლებს", – წერია სამძიმრის წერილში.**

## ყაზბეგში რუსეთის ორი მოქალაქე დაიღუპა

**არსებული ცნობით, ორი მთამსვლელი მყინვარწვერის გზაზე იმყოფებოდა.**

შსს-ს ინფორმაციით, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 116-ე მუხლის პირველი ნაწილით დაიწყო, რაც გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობას გულისხმობს.

მოქალაქეთა დაღუპვის ნამდვილი მიზეზი უცნობია.

## ქობულეთში, სოფელ ლეღვაში, 65 წლის კაცი მოკლეს

**არსებული ინფორმაციით კაცი მეზობელმა, სავარაუდოდ, სანადირო თოფით მოკლა.**

მოკლულის ოჯახის წევრებს უჭირთ საუბარი, რა იყო დანაშაულის მოტივი. ყვებიან, რომ 40 წლამდე მამაკაცს, რომელიც გამთენიისას, პოლიციამ საკუთარ სახლთან დააკავა, ფსიქიკური პრობლემები აქვს და აგრესიული იყო.

## გახსენება



# ზურაბ კობახიძე

მაღალი პროფესიონალიზმი, ფართო ერუდიცია, იშვიათი სულიერი თვისებები და, უპირველეს ყოვლისა, სამშობლოს გულწრფელი, უანგარო სიყვარული გამოარჩევდა **ზურაბ კობახიძეს.** ის დღეს 100 წლისა იქნებოდა.

იგი იყო ი.კონიაშვილის სახელობის კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის ინსტიტუტის ექსპერიმენტული განყოფილების უცვლელი ხელმძღვანელი, ერთ-ერთი წამყვანი სპეციალისტი ამ დარგში, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს პროფილაქტიკური მედიცინისა და ადამიანის ეკოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

ის მიეკუთვნებოდა იმ ქართველ მეცნიერთა საუკეთესო პლეადას, რომელთა სახელები სამედიცინო სამყაროშია ცნობილი. მისი კოლეგები და ახლო მეგობრები იყვნენ: კ. მადიჩი, ვ. ხუციძე, ა. ასათიანი, მ. ზაალიშვილი, რ. ჩხეტია, გ. ვადაჭკორია, დ. დათეშიძე, ა. კაკულია, ა. რობაქიძე, ვ. წითლანაძე, ნ. ხატიაშვილი, ო. შავიანიძე და სხვები. მათმა მეგობრობამ დროის გამოცდას გაუძლო და წარმოადგენს ერთგულებისა და ურთიერთგაგების მისაბაძ მაგალითს.

ათმა ახალგაზრდამ მისი ხელმძღვანელობით წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. მის კალამს ეკუთვნის 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი.

მეცნიერებიდან თავისუფალ დროს ის უთმობდა ტექნიკურ ოსტატობას და სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას ბუნების წიაღში თავისი ოჯახის წევრებთან ერთად.

სამწუხაროდ, მძიმე სოციალურმა ფონმა საბოლოოდ გაუტეხა ჯანი ამ საოცარ პიროვნებას. 1995 წლის ცხელ ზაფხულს ოჯახი გამოემშვიდობა თავის უსაყვარლეს ადამიანს, ქართულმა ინტელიგენციამ კი მისი სახით დაკარგა ერთ-ერთი თავისი ბრწყინვალე წარმომადგენელი.

ზურაბ კობახიძის მოგონება – ეს არის თავისებური ხიდი არც ისე შორეულ წარსულთან, როდესაც ჩვენ ყველანი დამუხტულები ვიყავით დადებითი ემოციებით, რაც ასე მძაფრად გვაკლია დღეს, სულიერებისა და სიკეთის აშკარა კრიზისის ჟამს.

**მეუღლე ერა კობახიძე, გოჩა სეხნიაშვილი.**

## ღვაწლმოსილი მეცნიერი ზურაბ კობახიძე

ექსპერიმენტული მედიცინის თვალსაჩინო წარმომადგენელს **ზურაბ კობახიძეს** შეუსრულდებოდა დაბადებიდან 100 წელი. დიდია მისი როლი დღევანდელი ფიზიოთერაპიის მოქმედების ფიზიოლოგიური და ბიოფიზიკური მექანიზმების შესწავლაში. იგი იყო აკადემიკოს ალექსანდრე ბაკურაძის პირველი ასპირანტი, რომელიც თავის მხრივ იყო დიდი ივანე ბერიტაშვილის პირველი ასპირანტი.

ალექსანდრე ბაკურაძემ, რომელიც წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა საქართველოს კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის ს/კ ინსტიტუტის ექსპერიმენტულ განყოფილებას, ბატონ ზურაბს გადააბარა ეს ხელმძღვანელობა მაშინ, როდესაც მან დაიცვა მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი.

დიდია ზ. კობახიძის როლი ულტრაბგერის თერაპიული მოქმედების ბიოფიზიკური მექანიზმების შესწავლაში. ასევე დაამუშავა ექსპერიმენტი ართრიტებისა და ართროზების მიღების მეთოდი. მან შექმნა ოთხარხიანი აპარატი, რომლის მეშვეობით ექსპერიმენტში ხდებოდა კუჭის კედლების მოძრაობის თავისებურებათა შესწავლა ნორმასა და პათოლოგიაში.

ზურაბ კობახიძემ აგრეთვე შექმნა 20-წუთიანი ნახატი ფილმი, რომელიც ეხებოდა კუჭის კედლების მოტორიკასა და მისი რეგულაციის მექანიზმებს. ექსპერიმენტულ განყოფილებაში მას გვერდში ედგნენ: **ამირან ზაქარაია,** შემდეგში თსსუ-ის ფიზიკისა და ბიოფიზიკის კათედრის დოცენტი; ვალენტინ აკოპიანი, შემდეგში პროფესორი, მოსკოვის ზოოაკადემიის მათემატიკისა და ფიზიკის კათედრის ხელმძღვანელი; **მერაბ მირცხულავა** ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თბილისის სპორტის აკადემიის ფიზიკის კათედრის გამგე; **ლევან ურთანიშვილი,** ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი; ინჟინრები **ლიოვა შელესტოვი, გენა აკოპიანი, აგრეთვე ნანა სიდამონიძე, დალი დარსაველიძე, მერაბ სალდაძე, მარიამ გურაშვილი, ნუცა ფურცელაძე.**

ზურაბ კობახიძე მიწვეული პედაგოგის სტატუსით მუშაობდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში, ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტში, საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში.

წარუშლელია ჩვენს მეხსიერებაში პროფესორ ზურაბ კობახიძის სახე.

მეგობრები და თანამშრომლები:

**გურამ ბეძაია, ალეკო ციბაძე, ნელი კაკულია, მიმოზა გამრეკელაშვილი, თემურ ჩხეტია, გიორგი შავიანიძე, ციალა მეშვილდიშვილი, ნინო პატარიძე, სანათა რიგიშვილი.**

## არდავიწყება



**94 წლის ასაკში იმიერ სამყაროს შეუერთდა გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე, კულტუროლოგი, პუბლიცისტი და რედაქტორი**

# აბესალომ იმედაშვილი

წავიდა ჩვენგან საოცარი გონიერების და ინტელექტის, უზომოდ მშრომელი, სიმართლისთვის და სამართლიანობისთვის დაუღალავი, მებრძოლი ადამიანი.

თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე მისი მონაწილეობის გარეშე თბილისში არ ჩატარებულა არცერთი მასშტაბური ღონისძიება. იყო კულტურათა დიალოგის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი, ქართულ-თურქულ ენოვანი გაზეთის „ხიდის“ და ჟურნალის რედაქტორი, მრავალი სტუდენტის აღმზრდელი.

ბობოქარი და საინტერესო ცხოვრება მშვიდად, ოჯახურ გარემოში სიყვარულით და პატივისცემით მოსილმა დაასრულა.

უფალს ებარებოდე, ჩვენო ძვირფასო ადამიანო.

**ოჯახი, მეგობრები**

**გივი, ნინო, ზურაბ და გიორგი თალაკვაძეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან ოჯახის ახლობლის, ღირსეული პიროვნების**

**აბესალომ ნოეს ძე იმედაშვილის**

**გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

## სანთელი



საზოგადოება **„კუს ტბა“** ღრმა მწუხარებას გამოხატავს საზოგადოების აქტიური წევრის

# გია კარგაძის

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებს ოჯახის წევრებს და მეგობრებს.


# განცხადება

## საჯარო განხილვის შესახებ

**სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა - შპს „რაჭა ენერჯის“ მიერ ონის მუნიციპალიტეტში, სოფ. სორს და სოფ. მუხლს შორის, მდინარე რიონზე 7.35 მგვტ სიმძლავრის რიონი VII ჰესის მშენებლობა და ექსპლუატაცია**

დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის დრო და ადგილი: **2024 წლის 24 ოქტომბერი, 15:00 საათი, ონის მუნიციპალიტეტის სოფ. სორის საჯარო სკოლის შენობა**

**გადაწყვეტილების მიმღები უფლებამოსილი ორგანოა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო. საჯარო განხილვის ორგანიზატორია სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი.**

საჯარო განხილვა ღიაა. მონაწილეობის, შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს. წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ გაუგზავნოთ **სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს 2024 წლის 29 ოქტომბრის ჩათვლით მისამართზე:** ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი N150 ან ელფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გამოგზავნისას მიუთითოთ ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს). მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაბეჭდი/მატერიალური ვერსიის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. საჯარო განხილვასთან დაკავშირებით მიმართეთ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს (ტელ: 0322 112023, ელფოსტა: ph@eiec.gov.ge, მის: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N32გ).

**განცხადების რეგისტრაციის თარიღი: 2024 წლის 30 სექტემბერი.** განცხადების რეგისტრაციიდან არაუადრეს 26-ე და არაუგვიანეს 30-ე დღისა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო გასცემს სკოპინგის დასკვნას.

# განცხადება

## საჯარო განხილვის შესახებ

**სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა - შპს „მედექსის“ მიერ გარდაბნის მუნიციპალიტეტში სახიფათო ნარჩენების (სამედიცინო და სამრეწველო ნარჩენების) ინსინირებისა და ავტოკლავირების საწარმოს მოწყობა და ექსპლუატაცია**

დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის დრო და ადგილი: **2024 წლის 24 ოქტომბერი, 12:00 საათი, გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფ. მარტყოფის მეორე საჯარო სკოლის შენობა**

**გადაწყვეტილების მიმღები უფლებამოსილი ორგანოა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო. საჯარო განხილვის ორგანიზატორია სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი.**

საჯარო განხილვა ღიაა. მონაწილეობის, შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს. წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ გაუგზავნოთ **სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს 2024 წლის 30 ოქტომბრის ჩათვლით მისამართზე:** ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი N150 ან ელფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გამოგზავნისას მიუთითოთ ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს). მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაბეჭდი/მატერიალური ვერსიის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. საჯარო განხილვასთან დაკავშირებით მიმართეთ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს (ტელ: 0322 112023, ელფოსტა: ph@eiec.gov.ge, მის: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N32გ).

**განცხადების რეგისტრაციის თარიღი: 2024 წლის 1 ოქტომბერი.** განცხადების რეგისტრაციიდან არაუადრეს 26-ე და არაუგვიანეს 30-ე დღისა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო გასცემს სკოპინგის დასკვნას.

## წერილი რედაქციას

# ძვირფასო მეგობრებო!
## პატივცემულო თანამოქალაქენო!



**დიდი პატივი, პასუხისმგებლობა და ვალდებულებაა, იყო უდიდესი და უმდიდრესი ისტორიის მქონე ქალაქ თბილისის საპატიო მოქალაქე.**

მადლობა მინდა გამოვხატო მუდამ გვერდში მდგომი და ჩემზე მზრუნველი, ჩემი ტექნიკური უნივერსიტეტის მიმართ.

მადლიერი ვარ ჩემი მშობლიური მეტრომშენის და თითოეული თანამშრომლის, ვისთან ერთადაც მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრების საუკეთესო წლები მაქვს გატარებული.

მადლობა ყველა იმ ადამიანს, ვინც ხელი შემიწყო და მომცა საშუალება, მეშრომა და მეღვაწა ჩემს დიდებულ და მადლიან მშობლიურ კახეთში.

საამაყოა, იღვაწო და იშრომო უმდიდრესი და უდიდესი ისტორიის მქონე შენი ქვეყნის დედაქალაქში და მოკრძალებული წვლილი შეიტანო მისი ევროპული მიმართულებით მშენებარე ქალაქის განვითარებასა და გალამაზებაში.

მადლობა ჩემს რეკომენდატორებს, უდავოდ დამსახურებულ და ქვეყნის განვითარებაზე მაფიქრალ და მზრუნველ ადამიანებს.

დიდი მადლობა თბილისის მერს, ბატონ კახა კალაძეს იმ დაუღალავი შრომისთვის, რომლის საშუალებითაც დღითი დღე ლამაზდება და მშვენდება ჩვენი ქალაქი. მადლობა ჩემი შრომითი საქმიანობის დაფასებისთვის და ესოდენ მაღალი საპატიო სახელის მონიჭებისთვის.

კიდევ ერთხელ გულწრფელად ვულოცავ ყველას ქალაქ თბილისის საპატიო მოქალაქის მაღალი წოდების მინიჭებას!

**პატივისცემით,**
**თბილისის საპატიო მოქალაქე**
**ბიძინა სონღულაშვილი**

# პოეტი ნინია სადღობელაშვილი სერბეთში აღიარეს!



პოეტი ნინია სადღობელაშვილი სერბეთის მწერალთა ასოციაციის პრემიის ლაურეატი გახდა. ინფორმაციას საქართველოს მწერალთა სახლი ავრცელებს.

**6-8 ოქტომბერს სერბეთის ქალაქ მრჩაევცში გამართულ პოეზიის საერთაშორისო ღონისძიებაზე – International Poetry Event მწერალთა ასოციაციის წარმომადგენლებმა ნინია სადღობელაშვილს ჯილდო პირადად გადასცეს. მისი ლექსები ითარგმნა სერბულ ენაზე და მოეწყო შეხვედრა მკითხველთან. აღსანიშნავია, რომ პრემია „მორავა“ ერთადერთი საერთაშორისო ჯილდოა, რომელსაც სერბეთის მწერალთა ასოციაცია 24 წელია გასცემს.**

8 ოქტომბერს ქალაქ პანჩევოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა გამარჯვებული ავტორების შემოქმედებითი საღამო, რომლის დროსაც ქართველი პოეტი შეხვდა მკითხველს და გააცნო საკუთარი პოეზია.

ქართულ-სერბული ლიტერატურული ურთიერთობები 2024 წლის თებერვალში ახალ ეტაპზე გადავიდა: მწერალთა სახლსა და სერბეთის მწერალთა ასოციაციას შორის გაფორმდა მემორანდუმი, რომლის ფარგლებშიც დაიგეგმა ორი ქვეყნის მწერლებს შორის თანამშრომლობა, ახალი ნაწარმოებების თარგმნა და სხვადასხვა ლიტერატურულ ღონისძიებებში მონაწილეობა.

საქართველოში სტუმრად ჩამოსული სერბი მწერლები გაეცნენ ქართველი პოეტების შემოქმედებას, მათ შორის, ნინია სადღობელაშვილის პოეზიას, რომელმაც განსაკუთრებული ინტერესი დაიმსახურა და საბოლოოდ პრესტიჟული პრემიით აღინიშნა.

პოეტი, მწერალი და დრამატურგი ნინია სადღობელაშვილი კარგადაა ცნობილი ქართველი მკითხველისთვის. იგი არაერთი ლიტერატურული ჯილდოს მფლობელია, მისი ნაწარმოებები თარგმნილია ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ, იტალიურ, კორეულ, თურქულ, აზერბაიჯანულ ენებზე.

## უცხოური ვალუტის კურსი:

**აშშ დოლარი - 2.7230; ევრო - 2.9909;**
**ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.5655;**
**100 რუბლი - 2.8291; თურქული ლირა - 0.0795;**
**აზერბაიჯანული მანათი - 1.6014;**
**1000 სომხური დრამი - 7.0464.**

# „ჩვენი საერთო – ქართველური ენები“

**საქართველოს პარლამენტის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ რუბრიკით „ჩვენი საერთო-ქართველური ენები“ პირველი წიგნი გამოსცა – გია ჯიქონაიას მიერ მეგრულ ენაზე დაწერილი „ბჟამორინელი“ („მზით გასხივოსნებული“).**




„ბჟამორინელი“ მხატვრულად დაწერილი ისტორიული რომანია, რომელშიც გადმოცემულია კოლხეთის ამბები უძველესი დროიდან დღემდე. ისტორიული პროცესების გარდა, წიგნში მეგრელების ყოველდღიური ცხოვრებაცაა აღწერილი.

„გია ჯიქონაიას მეგრულად დაწერილი რომანი „ბჟამორინელი“ („მზით გასხივოსნებული“), რომელიც შეეხება ძველი კოლხეთის ცხოვრებას უძველესი დროიდან თანამედროვეობამდე, პირველი წიგნია, რომელსაც გამოვცემთ რუბრიკით „ჩვენი საერთო-ქართველური ენები“. შემდეგი გამოცემები იქნება სვანურად, წოვა-თუშურად და ლაზურად. წიგნი საინტერესოა მეგრული ენის მცოდნე და ამ ენის მოყვარული მკითხველისთვის“, – ამბობს ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი, იდეის ავტორი კონსტანტინე გამსახურდია.

# „რუსთავის“ ტურნე საქართველოში



**ანსამბლი „რუსთავი“ საქართველოს მასშტაბით საგასტროლო ტურნეს მართავს. პირველი კონცერტი ონში გაიმართა, სადაც მომღერლებმა ტრადიციული პროგრამა წარმოადგინეს.**

კულტურის სამინისტროს ინფორმაციით, ტურნეს ფარგლებში მომდევნო კონცერტი ამბროლაურის კულტურის სახლში გაიმართა

პროექტი საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით ხორციელდება.

# სახალხო დღესასწაული ლაგოდეხში

**ლაგოდეხში, ტყე-პარკის ტერიტორიაზე სხვადასხვა კულტურულ-შემეცნებითი და გასართობი ღონისძიება გაიმართა. წარმოდგენილი იყო საშემოდგომო კუთხეები, მოეწყო ღვინის და ტრადიციული კერძების დეგუსტაცია.**




სადღესასწაულო ღონისძიებაზე, ლაგოდეხის საპატიო მოქალაქეები დაჯილდოვდნენ. სახალხო დღესასწაული გალა კონცერტით დასრულდა. ადგილობრივ მოსახლეობას სახალხო დღესასწაული პარლამენტის თავმჯდომარემ, პარლამენტის წევრებმა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა მიულოცეს.

# პალიასტომის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატი

**11 ოქტომბერს საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს პალიასტომის ღვთისმშობლის ხატის დღეს.**



...ეს უძველესი ხატი კოლხეთის უძველესი ქალაქის ფაზისის საკათედრო ტაძარში იყო დაბრძანებული, ისტორია გვამცნობს, რომ დაახლოებით VIII-IX საუკუნეებში ეს ტაძარი ჩაიძირა და ახლა იქ პალიასტომის ტბაა.

ქუთაისი (პალიასტომის, ფოთის) ხატის შესახებ აი, რას ვკითხულობთ: „...წინათ ეს ხატი გურიის ციხე-ქალაქ პალიასტომის საკრებულო ტაძარში იდგა, საყდრის მთავარუხუცესმა იმ ხატის შთაგონებით ჩვენება იხილა; თურმე თითქოს მას ღვთისმშობელმა სიზმარში უთხრა, რომ ტაძრიდან შესულიყო და მისი ყოვლადწმინდა ხატი პალიასტომიდან გამოეტანა, რადგან ციხე-ქალაქს წყალში ჩაძირვა ელისო. მთავარუხუცესს სიზმრისთვის არ დაუჯერებია და არც სხვისთვის გაუგებინებია ამის თაობაზე.

ღვთის ნებით ციხე-ქალაქი ხალხითურთ ჩაიძირა...

მარიამ ღვთისმშობლის ხატი კი წარღვნას გადაურჩა, თურმე ის ჰაერში მოდიოდა, უხილავად, თავისუფლად!

...ნიშანდობლია ისიც, რომ მთავარუხუცესმა ეს სასწაული დაინახა თუ არა, ცოდვების მისატევებლად მუხლებზე დაიჩოქა; ...ხატი ჰაერიდან მის ხელებში მიესვენა!

დავით მეფის შვილიშვილს – გიორგი მეფეს ხატი ციხე-ქალაქ ქუთაისში გადაუბრძანებია. ამჟამად ხატი ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმშია. მას ქუთაისის ხატადაც მოიხსენიებენ.

**გიული ლიპარტია**

საქართველოს რესპუბლიკა
www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35);

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04),

შემოქმედებითი ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი,**
**თემურ ქორიძე,**
**ოთარ ტურაბელიძე,**
**გია პლატონიშვილი,**

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17),

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია,**
**მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**

დამკაბადონებელი
**გიორგი მახარაშვილი.**

გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი**

**მისამართი:**
თბილისი. აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
sak@sak.ge

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმობეჭდილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

UAC(უაკ)070.4(479.22)
C–323

2 009882 616932

რეკლამისთვის დარეკეთ:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 14 ოქტომბერს